ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1982

## სექტემბერი № 9 СЕНТЯБРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ

1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1982 წლის 14 ივნისის ბრძანება № 510

## სამხედრო-პატრიოტული მუშაობის რესპუბლიკურ დათვალიერებაში გამარჯვებული სკოლების დაჯილდოების შ ე ს ა ხ ე ბ

აღვნიშნავ, რომ 1980 წლის 1-ლი სექტემბრიდან 25 დეკემბრამდე რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩატარდა სკკპ 26-ე ყრილობისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი სამხედრო-პატრიოტული მუშაობის რესპუბლიკური დათვალიერება, რომელმაც მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო მოსწავლეთა დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის შემდგომ გაუმჯობესებას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილება დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებული სკოლების შესახებ.
2. სამხედრო-პატრიოტულ მუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის გამარჯვებულად ჩაითვალოს რესპუბლიკის 66 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.
3. გამარჯვებული სკოლები დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით (სია თან ერთვის).

**მ ი ნ ი ს ტ რ ი  ო. ქინქლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სკკპ 26-ე ყრილობისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ სამხედრო-პატრიოტული მუშაობის რესპუბლიკურ დათვალიერებაში გამარჯვებული სკოლები

1. ქ. თბილისის 133-ე საშუალო სკოლა
2. ქ. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლა
3. ქ. თბილისის 41-ე საშუალო სკოლა
4. ქ. თბილისის 42-ე საშუალო სკოლა
5. ქ. თბილისის 65-ე საშუალო სკოლა
6. ქ. თბილისის 66-ე საშუალო სკოლა
7. ქ. თბილისის 67-ე საშუალო სკოლა
8. ქ. თბილისის მე-2 საშუალო სკოლა
9. ქ. თბილისის მე-20 საშუალო სკოლა
10. საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახელობის რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატი
11. ქ. თბილისის 63-ე საშუალო სკოლა
12. ქ. თბილისის 171-ე საშუალო სკოლა
13. ქ. თბილისის 22-ე საშუალო სკოლა
14. ქ. თბილისის 116-ე საშუალო სკოლა
15. ქ. თბილისის 103-ე საშუალო სკოლა
16. ქ. თბილისის მე-80 საშუალო სკოლა
17. ქ. თბილისის 160-ე საშუალო სკოლა
18. ქ. თბილისის 83-ე საშუალო სკოლა
19. ქ. თბილისის 124-ე საშუალო სკოლა
20. ქ. გორის მე-9 საშუალო სკოლა
21. ქ. გორის მე-12 საშუალო სკოლა
22. ქ. ტყიბულის მე-3 საშუალო სკოლა
23. ტყიბულის რაიონის სოფელ ხრესილის საშუალო სკოლა
24. ახალციხის მე-2 საშუალო სკოლა
25. ბოლნისის რუსული 1-ლი საშუალო სკოლა
26. ბოლნისის რაიონის სოფელ ფახრალოს საშუალო სკოლა
27. ბორჯომის მე-3 საშუალო სკოლა
28. ბორჯომის რაიონის სოფელ წაღვერის საშუალო სკოლა
29. გეგეჭკორის 1-ლი საშუალო სკოლა
30. გეგეჭკორის რაიონის სოფელ აბედათის საშუალო სკოლა
31. გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის საშუალო სკოლა
32. დუშეთის მე-3 საშუალო სკოლა

33 ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის საშუალო სკოლა

34. ქ. ზუგდიდის მე-14 საშუალო სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

35. ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლა
36. მარნეულის რაიონის სოფელ კასუმლინის საშუალო სკოლა
37. მცხეთის საშუალო სკოლა
38. ონის 1-ლი საშუალო სკოლა
39. ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კიცხის საშუალო სკოლა
40. საგარეჯოს 1-ლი საშუალო სკოლა
41. საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორის საშუალო სკოლა
42. საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთის საშუალო სკოლა
43. ა. წერეთლის სახელობის სოფელ საჩხერის საშუალო სკოლა
44. თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის საშუალო სკოლა
45. ხობის 1-ლი საშუალო სკოლა
46. ცხაკაიას მე-4 საშუალო სკოლა
47. ცხაკაიას მე-7 საშუალო სკოლა
48. სოხუმის რაიონის სოფელ ახალი იაშტუხოვის საშუალო სკოლა
49. სოხუმის რაიონის სოფელ შრომის ე. ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლა
50. ქობულეთის მე-2 საშუალო სკოლა
51. ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაქვის საშუალო სკოლა
52. ქ. ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლა
53. ქ. ცხინვალის მე-5 საშუალო სკოლა
54. ზნაურის რაიონის სოფელ ყორნისის საშუალო სკოლა
55. ცხინვალის რაიონის სოფელ ქურთას საშუალო სკოლა
56. ცხინვალის რაიონის სოფელ ვანათის საშუალო სკოლა
57. ჯავის სკოლა-ინტერნატი
58. გუდაუთის რაიონის სოფელ ბამბორის საშუალო სკოლა
59. გუდაუთის რაიონის ახალი ათონის საშუალო სკოლა
60. გალის 1-ლი საშუალო სკოლა
62. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამიშის საშუალო სკოლა
63. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბრის საშუალო სკოლა
64. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჯგერის საშუალო სკოლა
65. ტყვარჩელის მე-2 საშუალო სკოლა
66. ტყვარჩელის მე-3 საშუალო სკოლა

## საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, ცეკავშირის გამგეობის, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1982 წლის 17 ივნისის

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### 1981 წელს ჩატარებული რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვებით საუკეთესო მომსახურების დათვალიერება-კონკურსის შედეგების თაობაზე ჟიურის 1982 წლის 26 მაისის გადაწყვეტილების დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, ცეკავშირის გამგეობამ, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. დამტკიცდეს დათვალიერება-კონკურსის ჟიურის 1982 წლის 26 მაისის გადაწყვეტილება „ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვებით საუკეთესო მომსახურების დათვალიერება-კონკურსის ჩატარების შედეგების შესახებ".

2. გამარჯვებულად აღიარებულ იქნან და მიენიჭოთ:

პირველი ადგილი და პრემია 300 მანეთის ოდენობით თითოეულს:

— ქ. რუსთავის მე-11 საშუალო სკოლას (დირექტორი ამხ. ჯ. მგალობლიშვილი) და სკოლის სასადილოს (გამგე ამხ. ლ. წიწილაშვილი).

— ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის გახანგრძლივებული დღის საშუალო სკოლას (დირექტორი ამხ. კ. ეხვაია) და სკოლის სასადილოს (გამგე ამხ. ჟ. ქირია).

მეორე ადგილი და პრემია 200 მანეთის ოდენობით თითოეულს:

— ქ. ჭიათურის მე-7 საშუალო სკოლას (დირექტორი ამხ. ე. ვაშაძე) და სკოლის სასადილოს (გამგე ამხ. მ. ღავთაძე).

— ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეს საშუალო სკოლას

(დირექტორი ამხ. დ. მემარნე) და სკოლის სასადილოს (გამგე ამხ. დ. მჟავანაძე).

— ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის მე-2 საშუალო სკოლას (დირექტორი ამხ. ს. ჩილინგარიდი) და სკოლის სასადილოს (გამგე ამხ. ვ. ზაიცევა).

— ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის 36-ე საშუალო სკოლას (დირექტორი ამხ. რ. ნიკურაძე) და სკოლის სასადილოს (გამგე ამხ. რ. კოკილაშვილი).

მესამე ადგილი და პრემია 150 მანეთის ოდენობით თითოეულს:

— ქ. თბილისის ლენინის რაიონის 159-ე საშუალო სკოლას (დირექტორი ამხ. ნ. აზარაშვილი) და სკოლის სასადილოს (გამგე ამხ. რ. გრონსკაია).

— ქ. ბათუმის 22-ე საშუალო სკოლას (დირექტორი ამხ. მ. დიასამიძე) და სკოლის სასადილოს (გამგე ამხ. შ. მხეიძე).

— ქ. გორის მე-3 საშუალო სკოლას (დირექტორი ამხ. კ. კიკნაძე) და სკოლის სასადილოს (გამგე ამხ. ც. პატარიძე).

— ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 161-ე საშუალო სკოლას (დირექტორი ამხ. ლ. მებურიშვილი) და სკოლის სასადილოს (გამგე ამხ. თ. სიხარულიძე).

— ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის საშუალო სკოლას (დირექტორი ამხ. შ. ალბორიშვილი) და სკოლის სასადილოს (გამგე ამხ. ა. ბერუაშვილი).

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაკების პრემირება მოხდეს ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობის ფონდებიდან, ხოლო სკოლების მუშაკებისა — განათლების სამინისტროს ხარჯზე.

**საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი**
**გ. ქოგლიანიძე**

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრი**
**ო. ქინქლაძე**

**ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე**
**კ. შავიშვილი**

**სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე**
**ნ. გავაშელი**

**განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე**
**დ. იოსელიანი**

## ც ნ ო ბ ა

### 1981 წელს ჩატარებული რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვებით საუკეთესო მომსახურების დათვალიერება-კონკურსის შედეგების შ ე ს ა ხ ე ბ

ჟიურიმ, განიხილა რა რესპუბლიკის 29 ქალაქიდან და რაიონიდან დასაჯილდოებლად წარმოდგენილი 37 სასკოლო სასადილოს შესახებ მიღებული მასალები, გამარჯვებულ სასადილოებს მიაკუთვნა ქულების შემდეგი რაოდენობა:

1. ქ. რუსთავის მე-11 საშუალო სკოლას — 106 ქულა
2. ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის გახანგრძლივებული დღის საშუალო სკოლას — 100 ქულა
3. ქ. ჭიათურის მე-7 საშუალო სკოლას — 93 ქულა
4. ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეს საშუალო სკოლას — 87 ქულა
5. ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის მე-2 საშუალო სკოლას — 86 ქულა
6. ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის 36-ე საშუალო სკოლას — 86 ქულა
7. ქ. ბათუმის 22-ე საშუალო სკოლას — 81 ქულა
8. ქ. თბილისის ლენინის რაიონის 159-ე საშუალო სკოლას — 81 ქულა
9. ქ. გორის მე-3 საშუალო სკოლას — 76 ქულა
10. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 161-ე საშუალო სკოლას — 74 ქულა
11. ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის საშუალო სკოლას — 70 ქულა.
12. ქ. გორის მე-7 საშუალო სკოლას — 73 ქულა
13. ქ. ბორჯომის მე-3 საშუალო სკოლას — 70 ქულა
14. ქ. სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლას — 70 ქულა
15. ქ. რუსთავის მე-2 საშუალო სკოლას — 68 ქულა
16. ქ. დუშეთის რუსულ საშუალო სკოლას — 67 ქულა
17. ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის მე-20 საშუალო სკოლას — 66 ქულა
18. ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოს საშუალო სკოლას — 60 ქულა
19. ქ. თბილისის 1 მაისის რაიონის მე-17 საშუალო სკოლას — 65 ქულა
20. ქ. ხაშურის მე-3 საშუალო სკოლას — 65 ქულა
21. ქ. საგარეჯოს მე-4 საშუალო სკოლას — 65 ქულა
22. ქ. თბილისის 1 მაისის რაიონის 169-ე საშუალო სკოლას — 64 ქულა

23. ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალის საშუალო სკოლას — 64 ქულა
24. ქ. თბილისის 1 მაისის რაიონის 166-ე საშუალო სკოლას — 62 ქულა
25. ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესის საშუალო სკოლას — 60 ქულა
26. ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთის საშუალო სკოლას — 60 ქულა
27. გორის რაიონის სოფელ ტინის ხიდის საშუალო სკოლას — 60 ქულა
28. ქ. წულუკიძის რუსულ საშუალო სკოლას — 55 ქულა
29. მაიაკოვსკის რაიონის სოფელ როკითის საშუალო სკოლას — 52 ქულა
30. აბაშის რაიონის სოფელ ტყვირის საშუალო სკოლას — 50 ქულა
31. ქ. ამბროლაურის მე-2 საშუალო სკოლას — 47 ქულა
32. ქ. ბოლნისის ქართულ საშუალო სკოლას — 47 ქულა
33. ქ. ბოლნისის რუსულ საშუალო სკოლას — 47 ქულა
34. ბოლნისის რაიონის სოფელ არახლოს საშუალო სკოლას — 47 ქულა
35. ქ. ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლას — 46 ქულა
36. ქ. ცხინვალის მე-5 საშუალო სკოლას — 46 ქულა
37. ქ. ცხინვალის მე-7 საშუალო სკოლას — 46 ქულა

გამარჯვებულად აღიარებულ იქნენ და მიენიჭათ პირველი ადგილი და პრემია 300 მანეთის ოდენობით თითოეულს:

— ქ. რუსთავის მე-11 საშუალო სკოლას (დირექტორი ამხ. ჯ. მგალობლიშვილი) და სკოლის სასადილოს (გამგე. ამხ ლ. წიწილაშვილი) — 106 ქულა.

— ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის გახანგრძლივებული დღის საშუალო სკოლას (დირექტორი ამხ. კ. ეხვაია) და სკოლის სასადილოს (გამგე ამხ. ჟ. ქირია) — 100 ქულა.

მეორე ადგილი და პრემია 200 მანეთის ოდენობით თითოეულს:

— ქ. ჭიათურის მე-7 საშუალო სკოლას (დირექტორი ამხ. ე. ვაშაძე) და სკოლის სასადილოს (გამგე ამხ. შ. ლავთაძე) — 93 ქულა.

— ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეს საშუალო სკოლას (დირექტორი ამხ. დ. მემარნე) და სკოლის სასადილოს (გამგე ამხ. დ. მჟავანძე) — 87 ქულა.

— ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის მე-2 საშუალო სკოლას (დირექტორი ამხ. ს. ჩილინგარიდი) და სკოლის სასადილოს (გამგე ამხ. გ. ზაიცევა) — 86 ქულა.

— ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის 36-ე საშუალო სკოლას (დირექტორი ამხ. რ. ნიკურაძე) და სკოლის სასადილოს (გამგე ამხ. რ. კოკილაშვილი) — 86 ქულა.

მესამე ადგილი და პრემია 150 მანეთის ოდენობით თითოეულს:

— ქ. თბილისის ლენინის რაიონის 159-ე საშუალო სკოლას (დი-

რექტორი ამხ. ნ. აზარაშვილი) და სკოლის სასადილოს (გამგე ამხ. ი. გრონსკაია) — 81 ქულა.

— ქ. ბათუმის 22-ე საშუალო სკოლას (დირექტორი ამხ. მ. დიასამიძე) და სკოლის სასადილოს (გამგე ამხ. შ. მხეიძე) — 81 ქულა.

— ქ. გორის მე-3 საშუალო სკოლას (დირექტორი ამხ. კ. კიკნაძე) და სკოლის სასადილოს (გამგე ამხ. ც. პატარიძე — 76 ქულა.

— ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 161-ე საშუალო სკოლას (დირექტორი ამხ. ლ .მებურიშვილი) და სკოლის სასადილოს (გამგე ამხ. თ. სიხარულიძე) — 74 ქულა.

— ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის საშუალო სკოლას (დირექტორი ამხ. შ. ალბორიშვილი) და სკოლის სასადილოს (გამგე ამხ. ა. ბერუაშვილი) — 70 ქულა.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაკების პრემირება მოხდეს ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობის ფონდებიდან, ხოლო სკოლების მუშაკებისა — განათლების სამინისტროს ხარჯზე.

**ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების საუკეთესო ორგანიზაციისათვის რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის ჩამტარებელი ჟიური**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 1982 წლის

## 17 ივნისის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების სანიმუშოდ დაყენებისათვის 1981—1982 სასწავლო წელს ჩატარებულ დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებული სკოლების მუშაკთა საპატიო სიგელებით დაჯილდოების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ განათლებისა და ვაჭრობის სამინისტროების კოლეგიების, ცეკავშირის გამგეობის, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების 1982 წლის 17 ივნისის ერთობლივი გადაწყვეტილებით მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის სანიმუშოდ დაყენებისათვის 1981—1982 სასწავლო წელს სასკოლო სასადილოების დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებული და პრემირებული ქვემოთ ჩამოთვლილი მუშაკები დაჯილდოებულ იქნან საპატიო სიგელებით:

1. მკალობლიშვილი ჯულიეტა სუმბათის ასული — ქ. რუსთავის მე-11 საშუალო სკოლის დირექტორი
2. ბაშალეიშვილი ლიალია ვარლამის ასული — ქ. რუსთავის მე-11 საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე
3. შლაგინოვა ნინა ივანეს ასული — ქ. რუსთავის მე-11 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში
4. ბ.ისა თამარ ლავრენტის ასული — ქ. რუსთავის მე-11 საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი
5. დონდუა მარგალიტა ვაგრამის ასული — ქ. რუსთავის მე-11 საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი
6. ეხვაია კალისტრატე გვარდლის ძე — ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის გახანგრძლივებული დღის საშუალო სკოლის დირექტორი
7. ქირია თინა პართენის ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის გახანგრძლივებული დღის საშუალო სკოლის პარტორგანიზაციის მდივანი
8. გალეგაშვილი ნაირა გალაქტიონის ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის გახანგრძლივებული დღის საშუალო სკოლის აღმზრდელი
9. ქარჩავა ბორის რაჟდენის ძე — ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
10. ხომერიკი გივი მიხეილის ძე — ქ. თბილისის 36-ე საშუალო სკოლის დირექტორი

11. თოიძე ქეთევან გიორგის ასული — ქ. თბილისის 36-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში
12. ხაჩიძე ლია სერგოს ასული — ქ. თბილისის 36-ე საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი
13. ნიკურაძე რუსუდან გიორგის ასული — ქ. თბილისის 36-ე საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე
14. ჩილინგარიდი სტეფანე ივანეს ძე — ქ. თბილისის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი
15. ზარიფიანი ელენე არშაკის ასული — ქ. თბილისის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში
16. კანოვიჩი მიხეილ ზეილიკის ძე — ქ. თბილისის მე-2 საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი
17. უთურგაული ლილი კონსტანტინეს ასული — ქ. თბილისის მე-2 საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე
18. მებურიშვილი ლონდა შალვას ასული — ქ. თბილისის 161-ე საშუალო სკოლის დირექტორი
19. ჩუხრუკიძე ელენე დავითის ასული — ქ. თბილისის 161-ე საშუალო სკოლის პარტორგანიზაციის მდივანი
20. კალანდაძე ალექსანდრე ანტონის ძე — თბილისის 161-ე საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე
21. მემარნე დავით იოსების ძე — ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეს საშუალო სკოლის დირექტორი
22. ჯიჯავაძე ნაზი ზურქიფლის ასული — ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეს საშუალო სკოლის პარტორგანიზაციის მდივანი
23. ჯინჭარაძე სულიკო მურადის ასული — ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეს საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე
24. მჟავანაძე ნათელა ხასანის ასული — ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეს საშუალო სკოლის დამლაგებელი
25. დიასამიძე მერაბ ოსმანის ძე — ქ. ბათუმის 22-ე საშუალო სკოლის დირექტორი
26. ტაკიძე ვენერა ტერენტის ასული — ქ. ბათუმის 22-ე საშუალო სკოლის დირექტორის თანაშემწე სამეურნეო ნაწილში
27. ჩხატარაშვილი ეთერ ნოეს ასული — ქ. ბათუმის 22-ე საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე
28. აზარაშვილი მერი სურენის ასული — ქ. თბილისის 159-ე საშუალო სკოლის დირექტორი
29. ლედიაკი ანჟელა ალექსის ასული — ქ. თბილისის 159-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში
30. ვიზელმანი იაკობ ილიას ძე — ქ. თბილისის 159-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში

ეროვნული ბიბლიოთეკა

31. კესაური ირინე იოსების ასული — ქ. თბილისის 159-ე საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე
32. კიკნაძე ქეთევან ალექსანდრეს ასული — ქ. გორის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორი
33. მღებრიშვილი ნანა გიორგის ასული — ქ. გორის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელი
34. სახვაძე მიხეილ ვასილის ძე — ქ. გორის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორის თანაშემწე სამეურნეო ნაწილში
35. ალბორიშვილი ზაქარია დავითის ძე — ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის საშუალო სკოლის დირექტორი
36. ყარალაშვილი ლალი ვახტანგის ასული — ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის საშუალო სკოლის პარტორგანიზაციის მდივანი
37. ხახუტაშვილი თინა გიგას ასული — ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე
38. ვაშაძე ელდარ ნიკოლოზის ძე — ქ. ჭიათურის მე-7 საშუალო სკოლის დირექტორი
39. ცუცქირიძე ნინო ვარლამის ასული — ქ. ჭიათურის მე-7 საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი
40. ბარჯაძე ხუხა შალვას ასული — ქ. ჭიათურის მე-7 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე**

**განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე დ. იოსელიანი**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 1982 წლის 17 ივნისის

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოების მე-6 რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და მე-7 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოების მე-6 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოსწავლეთა შორის შემოქმედებითი ფანტაზიის სტიმულირებას, შრომითი ჩვევების დანერგვას და ამ საქმით დაინტრესებულ ნორჩ კონსტრუქტორთა გამოვლინებას. გასულ წლებთან შედარებით წარმოდგენილი ექსპონატები გამოირჩეოდნენ ღრმა შინაარსით, ორიგინალობით და შესრულების ტექნიკით.

მე-6 რესპუბლიკური კონკურსის შემაჯამებელ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების 106 ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და საშუალო სკოლის 175 სათამაშო და სახალისო ხელსაწყო.

კონკურსზე წარმოდგენილი ექსპონატებიდან მოწონება დაიმსახურა: თბილისის, ზესტაფონის, ქუთაისის, გორის, ხარაგაულის, ტყიბულის სკოლების; თბილისის, ქუთაისის, ტყიბულის, გორის პიონერთა და მოსწავლეთა სახლებისა და სასახლეების ხელმარჯვეთა წრის წევრების ნამუშევრებმა.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ რიგი რაიონის განათლების განყოფილებები და კომკავშირის რაიონული კომიტეტები მთელი პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ თვითნაკეთი სათამაშოების მე-6 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარებას, რის გამოც კონკურსში მონაწილეობა არ მიუღიათ აბაშის, თელავის, ცხაკაიას, ცაგერის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, ქედის, ლენტეხის, მესტიის, რუსთავის, წითელწყაროს, ლენინგორის რაიონების სკოლებს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. მიღებულ იქნას ცნობად, რომ მე-6 რესპუბლიკურ კონკურსში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ დიპლომებით დააჯილდოვა 79 მოსწავლე, 15 მასწავლებელი და 23 კოლექტივი (დანართი № 1).

2. კონკურსის მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების უზრუნ-

ველსაყოფად დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა (დანართი № 2).

3. კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად: 1. ზონალური, 2. რესპუბლიკური. ზონალური კონკურსი ჩატარდეს 1982 წლის სექტემბრიდან 1982 წლის ნოემბრამდე, ხოლო რესპუბლიკური შემაჯამებელი გამოფენა-შეკრება 1983 წლის თებერვალში ქ. თბილისში და მისი ჩატარების ორგანიზაცია დაევალოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს.

4. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, კომკავშირის შესაბამისმა რაიონულმა და საქალქო კომიტეტებმა, რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებმა და სახლებმა უზრუნველყონ აღნიშნული ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარება, რისთვისაც:

ა) კონკურსის ორგანიზებულად ჩატარებისათვის ადგილზევე ზონების ცენტრებში შექმნან ზონალური საორგანიზაციო კომიტეტები, რომლებშიც შეყვანილი იქნებიან ზონის ცენტრის წარმომადგენელი (თავმჯდომარე) და ზონაში შემავალი ქალაქებისა და რაიონების თითო წარმომადგენელი (კომკავშირის, განათლების და რაიონების პიონერთა და მოსწავლეთა სახლებიდან); ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობის შესახებ აცნობონ რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს 1982 წლის სექტემბრამდე.

5. ზონალურმა საორგანიზაციო კომიტეტებმა მოაწყონ მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოების ზონალური შემაჯამებელი გამოფენა 1982 წლის ნოემბერში და უზრუნველყონ შერჩეული ექსპონატების გადაგზავნა რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში 1982 წლის დეკემბერში.

6. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსს, საქართველოს ალკკ საოლქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს:

ა) შექმნან ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოების კონკურსის ხელშემწყობი კომისიები სკოლის კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების, მშობელთა კომიტეტებისა და საშეფო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით;

ბ) გაშალონ მოსამზადებელი მუშაობა და ყველა სკოლასა და სკოლისგარეშე დაწესებულებამდე დაიყვანონ კონკურსის ჩატარების პირობები.

7. დაევალოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს (ამხ. თ. ჟღენტი):

ა) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებები უზრუნველყოს მეთოდური მასალებით, ესკიზებით, რეკომენდაციებითა და სათანადო ლიტერატურით;

ბ) რესპუბლიკის ზონებში ადგილზე დახმარების გაწევის მიზნით მიავლინოს სპეციალისტები.

8. დაევალოთ ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი, საშუალო სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა დირექტორებს იზრუნონ გასართობების, სათამაშოების დასამზადებლად ოთახების, კუთხეების გამოყოფასა და მათთვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებით მომარაგებაზე.

9. გაზეთების „სახალხო განათლების", „ახალგაზრდა კომუნისტისა" და „მოლოდიოჟ გრუზიის" რედაქციებმა პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოების მე-7 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების მიმდინარეობის შესახებ.

10. დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა) და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას (ამხ. გ. ბუკია) დააწესონ კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე**

**საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ორჯონიკიძე**

დანართი № 1

**მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოების მე-6 რესპუბლიკურ კონკურსზე საუკეთესო ნამუშევრების წარმოდგენისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დიპლომებით დაჯილდოებული კოლექტივების, პედაგოგთა და მოსწავლეთა ს ი ა:**

**I ხარისხის დიპლომით კოლექტივები**

1. თბილისის მე-13 საშუალო სკოლის ნორჩ კოსმონავტთა წრე
2; თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მოძრავი სათამაშოების წრე
3. თბილისის 31-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრე
4. თბილისის 51-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრე
5. თბილისის 55-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრე
6. თბილისის 57-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრე
7. თბილისის მე-60 საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრე
8. თბილისის 35-ე საშუალო სკოლის სათამაშოების წრე
9. თბილისის 63-ე საშუალო სკოლის ხელმარჯვეთა წრე
10. თბილისის 83-ე საშუალო სკოლის სათამაშოების წრე
11. თბილისის 106-ე საშუალო სკოლის ხელმარჯვეთა წრე
12. თბილისის 109-ე საშუალო სკოლის ხელმარჯვეთა წრე
13. თბილისის 161-ე საშუალო სკოლის ხის დამუშავების წრე
14. თბილისის 162-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრე
15. თბილისის 164-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრე
16. თბილისის 119-ე საშუალო სკოლის სათამაშოების პიონერული ფაბრიკა
18. გორის პიონერთა სასახლის ნორჩ ტექნიკოსთა წრე
19. ტყიბულის მე-6 საშუალო სკოლის ტექნიკური წრე
20. ქუთაისის მე-6 საშუალო სკოლის სათამაშოების წრე
21. ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის სათამაშოების წრე
22. ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლის სათამაშოების წრე
23. თბილისის ოქტომბრის რაიონის პიონერთა სახლის სათამაშოების პიონერული ფაბრიკა

**მასწავლებლები**

1. არუთინოვი გენრი — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი
2. ბერიძე მამია — ტყიბულის რაიონის სოფელ ჯვარისის საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი
3. გუსევი ვლადიმერი — თბილისის 119-ე საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი

4. დემეტრაძე მედეა — გორის პიონერთა სასახლის ნორჩ ფიზიკოსთა წრის ხელმძღვანელი
5. თემეგაშვილი მედეა — გორის პიონერთა სასახლის ნორჩ ფიზიკოსთა წრის ხელმძღვანელი
6. კალანდაძე ალექსანდრე — თბილისის 161-ე საშუალო სკოლის ხის მხატვრული დამუშავების წრის ხელმძღვანელი
7. კალამეიცევი ვლადიმერი — თბილისის 83-ე საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი
8. პოგორელოვი ედუარდი — თბილისის მე-13 საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი
9. რუხაძე მერი — ქუთაისის მე-6 საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი
10. ქიმაძე სოსო — თბილისის მე-17 საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი
11. ქრისტესიაშვილი ნანა — გორის პიონერთა სასახლის ნორჩ ტექნიკოსთა წრის ხელმძღვანელი
12. ტიურინი გიორგი — თბილისის ოქტომბრის რაიონის პიონერთა სახლის ხელგარჯილობის წრის ხელმძღვანელი
13. ლომიძე გიგა — თბილისის 124-ე საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი
14. ყიფშიძე ამირანი — ზესტაფონის პიონერთა სახლის სატრანსპორტო სექციის ხელმძღვანელი
15. ზანგურაშვილი გიორგი — თბილისის 126-ე საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი

**მოსწავლეები**

1. ალექსიძე — გ. თბილისის 161-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასი
2. არაბული ქ. — თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის მე-7 კლასი
3. ანდღულაძე პ. — თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის მე-7 კლასი
4. ანიაშვილი ვ. — გორის პიონერთა სასახლის ნორჩ ტექნიკოსთა წრის წევრი
5. ამბრიაშვილი დ. — გორის პიონერთა სასახლის ხელგარჯილობის წრის წევრი
6. ბახტურინი დ. — თბილისის 83-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასი
7. ბერიაშვილი ი. — თბილისის 161-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრი
8. ბოჭორიშვილი ნ. — თბილისის 58-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასი
9. ბუაძე ვ. — თბილისის მე-17 საშუალო სკოლის მე-6 კლასი
10. გონჩაროვა პ. — თბილისის 35-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასი
11. გოშხოთელიანი კ. — ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლის მე-7 კლასი

12. გრიგოლაშვილი ხ. — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატი
13. გოგიჩაიშვილი გ. — თბილისის მე-17 საშუალო სკოლის მე-8 კლასი
14. დიდებაშვილი გ. — თბილისის მე-17 საშუალო სკოლის მე-8 კლასი
15. დუმბაძე დ. — თბილისის 161-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრი
16 დოჩანაშვილი ი. — თბილისის 161-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრი
17. თავზერიძე თ. — თბილისის 58-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასი
18. ირემაძე მ. — ქუთაისის მე-6 საშუალო სკოლის მე-6 კლასი
19. კერესელიძე გ. — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასი
20. კიკალეიშვილი კ. — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასი
21. კოტრიკაძე ჟ. — თბილისის 58-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასი
22. კობერიძე ზ. — თბილისის მე-17 საშუალო სკოლის მე-8 კლასი
23. ლაქტიონოვი ა. — თბილისის 138-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასი
24. ლილუაშვილი კ. — თბილისის 161-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრი
25. ლოლაძე ნ. — თბილისის მე-13 საშუალო სკოლის მე-6 კლასი
26. ლიასოვა ი. — თბილისის 35-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასი
27. ლურჭუმელია ი. — თბილისის 161-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრი
28. მახარაძე ა. — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასი
29. მენაბდე რ. — თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის მე-6 კლასი
30. მიქელაძე გ. — ტყიბულის რაიონის სოფელ ჯვარისის საშუალო სკოლის მე-9 კლასი
31. მენთეშაშვილი ნ. — თბილისის 161-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრი
32. ნადირაშვილი გ. — თბილისის 119-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასი
33. პავლიაშვილი ნ. — გორის პიონერთა სასახლის ნორჩ ხელმარჯვეთა წრის წევრი
34. რობაქიძე კ. — ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასი
35. როინიშვილი შ. — თბილისის 161-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრი
36. რჩეულიშვილი ნ. — თბილისის 161-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრი
37. რატიშვილი მ. — თბილისის 161-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრი
38. სხირტლაძე ზ. — თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის მე-8 კლასი

39. ტარიელაშვილი დ. — თბილისის 83-ე საშუალო სკოლის მე-5 კლასი
40. ფარჯანაძე ზ. — თბილისის 161-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრი
41. ფურცელაძე ო. — თბილისის 119-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასი
42. ქარქოზაშვილი ი. — თბილისის 58-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასი
43. შტრიგელი ვ. — თბილისის 83-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასი
44. ჩიჯავაძე ე. — ქუთაისის 22-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასი
45. ჩხაიძე გ. — თბილისის 161-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრი
46. ძოლოშვილი ფ. — თბილისის მე-17 საშუალო სკოლის მე-6 კლასი
47. ჭუმბურიძე ნ. — თბილისის მე-4 საშუალო სკოლის მე-8 კლასი
48. ხუციშვილი ზ. — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასი
49. ხიჯაკაძე შ. — ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლის მე-8 კლასი
50. ჯინჭარაძე პ. — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასი

**II ხარისხის დიპლომებით მოსწავლეები**

1. გვალიაშვილი მ. — თბილისის 35-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასი
2. გელაშვილი მ. — ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასი
3. ჯაირელიანი ნ. — თბილისის 109-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრი
4. იარაჯელი ლ. — თბილისის 106-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრი
5. კურკოვა ი. — თბილისის 109-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრი
6. კუზმიჩენკო ე. — თბილისის 75-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრი
7. კრეჩკოვი პ. — თბილისის 145-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრი
8. კეჩხუაშვილი თ. — გორის პიონერთა სასახლის ნორჩ ფიზიკოსთა წრის წევრი
9. კრასინა თ. — თბილისის 109-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრი
10. ლომიძე რ. — თბილისის 124-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასი
11. ლუცენკო ვ. — თბილისის 145-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრი
12. მელია დ. — ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასი
13. მუმლაძე მაია — თბილისის 106-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრი
14. მუმლაძე მადონა — თბილისის 106-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრი

15. ნეფარიძე ვ. — ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასი
16. ოგანოვი გ. — თბილისის 138-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასი
17. პეტროვი ფ. — თბილისის 145-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრი
18. ჟორჟოლიანი ბ. — თბილისის 155-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასი
19. სერედენკო ა. — თბილისის 138-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასი
20. სურგულაძე პ. — ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასი
21. უზინალოვი ი. — თბილისის 138-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასი
22. ფხაკაძე თ. — ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის მე-5 კლასი
23. შოვნაძე ზ. — გორის პიონერთა სასახლის ნორჩ ფიზიკოსთა წრის წევრი
24. ჩუბინიძე მ. — ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასი
25. ჩავიძე მ. — თბილისის 145-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრი
26. ჭავჭანიძე დ. — ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასი
27. ცაილინა ნ. — თბილისის 168-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასი
28. ხაჩატურიანი ტ. — თბილისის 109-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრი
29. ჯიმშელეიშვილი გ. — ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2

## საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა

1. დარჩია მამია — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე
2. ხაჩიძე მანონი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
3. ზარქუა ენდი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი
4. ბუკია გოდერძი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერთა შორის მუშაობის განყოფილების გამგე
5. აბდუშელიშვილი გუგული — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის სამმართველოს უფროსი
6. ჟღენტი თეიმურაზ — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი
7. გოდერძიშვილი ნოდარ — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე)
8. ამონაშვილი შალვა — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული ლაბორატორიის გამგე, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
9. კობიაშვილი ეთერ — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის პოლიტმასობრივი განყოფილების გამგე
10. სალარაძე ციალა — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის გასართობებისა და სათამაშოების სექტორის გამგე
11. გაბელია თამარ — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის ბავშვთა სათამაშოების სექტორის გამგე
12. იოსელიანი ლილი — სათამაშოების საწარმოო გაერთიანება „სიხარულის“ მთავარი ინჟინერი
13. გეწაძე ჯენარ — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 3

## მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოების რესპუბლიკური კონკურსის დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოების მე-7 რესპუბლიკურ კონკურსს ატარებს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეებს, პიონერულ რგოლებს, რაზმებს, რაზმეულებს, სკოლა-ინტერნატებს, საბავშვო სახლების აღსაზრდელებს, ნორჩ ტექნიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა სადგურებს, პიონერთა და მოსწავლეთა სახლებსა და სასახლეებს, პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკებს, პიონერთა რესპუბლიკურ, საქალაქო და რაიონულ ბანაკებს. ნამუშევრების წარმოდგენა შეიძლება როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური წესით.

კონკურსის მიზანია მოსწავლეთა შემოქმედებითი ფანტაზიის სტიმულირება, შრომითი ჩვევების დანერგვა, ტექნიკური გამოცდილებისადმი ინტერესის გაღვივება, ნორჩი ავტორებისა და კონსტრუქტორების გამოვლინება, მხატვრული და ესთეტიკური გემოვნების განვითარება, ბავშვების მიერ ახალი, საინტერესო ტექნიკური სათამაშოებით ამა თუ იმ საგნის სახალისო ფორმაში შესწავლა, კითხვა-პასუხის დილების ჩატარება და შერჩეული სათამაშოების გამოყენებით საინტერესო გართობა-თამაშის კვირეულის ჩატარება.

### კონკურსის ორგანიზაცია

კონკურსი ტარდება ორ ეტაპად: 1-ლი ზონალური, მე-2 რესპუბლიკური. კონკურსის ორგანიზაციისათვის რესპუბლიკის ქალაქები და რაიონები დაყოფილია 10 ზონად.

I. ზონა: ქ. სოხუმი (ცენტრი), გაგრის, გუდაუთის, გულრიფშის, ტყვარჩელის, ოჩამჩირის, სოხუმისა და გალის რაიონები.

II ზონა: ცხაკაიას (ცენტრი), ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის, ფოთის, გეგეჭკორის, აბაშის, მესტიის რაიონები და ქ. ზუგდიდი.

III ზონა: ქ. ქუთაისი (ცენტრი), ვანის, სამტრედიის, წყალტუბოს, ამბროლაურის, ონის, მაიაკოვსკის, ლენტეხის, ცაგერის, თერჯოლის და ზესტაფონის რაიონები.

IV ზონა: ქ. ბათუმი (ცენტრი), ხულოს, შუახევის, ქედის, ქობულეთის, მახარაძის, ჩოხატაურისა და ლენტეხის რაიონები.

V ზონა: ქ. ცხინვალი (ცენტრი), ჯავის, ცხინვალის, ზნაურისა და ლენინგორის რაიონები.

VI ზონა: ქ. ხაშური (ცენტრი), ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის,

ახალციხის, ბორჯომის, ორჯონიკიძის, ჭიათურისა და საჩხერის რაიონები.

VII ზონა: მცხეთის (ცენტრი), ქარელის, გორის, კასპის, თიანეთის, ყაზბეგის, დუშეთის რაიონები და ქ. გორი.

VIII ზონა: ყვარლის (ცენტრი), ახმეტის, თელავის, ცაგერის, ლაგოდეხის, წითელწყაროს, სიღნაღის, გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონები.

IX ზონა: ქ. რუსთავი (ცენტრი), გარდაბნის, ბოგდანოვკის, წალკის, თეთრი წყაროს, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის რაიონები.

X ზონა: ქ. თბილისი.

ზონალური კონკურსი ჩატარდება 1982 წლის აპრილიდან 1982 წლის ნოემბრამდე. 1982 წლის ოქტომბერში ტარდება ზონალური გამოფენის დათვალიერება და შემაჯამებელი დღეები. 1982 წლის ნოემბერში გამოფენაზე შერჩეული ექსპონატებისა და ზონალური ღონისძიებების ანგარიში გამოიგზავნება თბილისში, ბორის ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში 1983 წლის იანვრამდე.

1983 წლის თებერვალში მოეწყობა რესპუბლიკური შემაჯამებელი საზეიმო შეკრება.

კონკურსში გამარჯვებული ნორჩი ავტორები ყოველი ზონის სკოლებიდან გამოძახებული იქნებიან შემაჯამებელ შეკრებაზე. გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელებით, შორეული ექსკურსიების საგზურებით, ფასიანი საჩუქრებით, საკავშირო პიონერული ბანაკის „არტეკისა" და რესპუბლიკის პიონერთა ბანაკების საგზურებით.

**კონკურსის თემატიკა**

მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოების კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილ იქნას: ტექნიკური ხასიათის სათამაშოები, ზღაპრების, გამოცანების, იგავ-არაკებისა და სხვა ჟანრის მიხედვით შედგენილი თავსატეხები, ხალხური თამაშობებისა და გასართობების კრებულები თვალსაჩინო მასალით, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მრავალფეროვანი კულტურული ცხოვრების ამსახველი გასართობები. გარდა ამისა, სახალისო ხელსაწყოები ფიზიკიდან, ქიმიიდან, მათემატიკიდან, გეოგრაფიიდან, გეოლოგიიდან, ლიტერატურიდან, მშობლიური და უცხო ენებიდან, ბიოლოგიიდან, ხელოვნების სხვადასხვა დარგებიდან, აგრეთვე ცხოველთა და მცენარეთა სამყაროდან, სიუჟეტური თამაშობების ინვენტარი თემაზე „ჩემი სკოლა", „თოჯინების სამყარო", „ზოოპარკი", საბავშვო კა-

ლენდარი, სამხედრო ხასიათის სათამაშოები, პიონერული რაზმებისათვის ლამაზად გაფორმებული სათამაშოების კომპლექტები, ქართული ეთნოგრაფიული ხასიათის თოჯინები და სხვ.

თემატიკის შესაბამისად დამზადებული ორიგინალური სათამაშოები შეიძლება წარმოდგენილ იქნას სამაგიდო თავსატეხის, სამაგიდო სპორტული ლოტოს და სხვა სახით. შესაძლებელია აგრეთვე: წარმოდგენელი იყოს ორიგინალური სათამაშოების პროექტი ნახაზის ან მაკეტის სახით.

ნორჩმა ავტორებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ელექტროფიცირებული, მექანიზებული სათამაშო-გასართობების დამზადებას.

დასაშვებია აგრეთვე, არსებული სათამაშოების დუბლირება; სათამაშო უნდა იყოს ლამაზი, სუფთად გაკეთებული, გამძლე და გამოსაყენებლად მოხერხებული.

ყველა ექსპონატს უნდა ახლდეს გამოყენების წესი და სამუშაო ნახაზი. ექსპონატები შეიძლება დამზადდეს: ხის, ლითონის, მუყაოს, პლასტმასისა და სხვა მასალისაგან.

თემატიკა საორიენტაციოა, იგი არ იზღუდება კონკურსის მონაწილეთა ნება-სურვილით და ფანტაზიით.

ყოველ ნაშრომზე უნდა იყოს მიწერილი ნორჩი ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი; ზუსტი მისამართი რაიონის, სოფლის, სკოლის ჩვენებით, თარიღი და აგრეთვე ხელმძღვანელის გვარი, სახელი, მამის სახელი ხელის მოწერით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ექსპონატები გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: თბილისი, 380018, რუსთაველის გამზირი № 6, ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის გასართობებისა და სათამაშოების სექტორი

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 17 ივნისის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე რესპუბლიკური თათბირ-სემინარის რეკომენდაციების დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

კოლეგია აღნიშნავს, რომ 1982 წლის 19 აპრილს მაღალორგანიზებულად ჩატარდა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლო ინსპექტორებმა, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური და ზონალური ინსტიტუტების შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის მეთოდისტებმა, სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების დირექტორებმა.

თათბირ-სემინარზე საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ამხ. მ. კობახიძემ თავის მოხსენებაში ანალიზი გაუკეთა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომითი სწავლებისა და აღზრდის მდგომარეობას, მისი გაუმჯობესების გზებს სკკპ 26-ე ყრილობის მიერ სახალხო განათლების ორგანოების წინაშე დასმული ამოცანების შესაბამისად.

კამათში გამოსულთა მოხსენებებში საკმარისი სიღრმით იყო გაანალიზებული მუშაობა, რომელიც განვლილ პერიოდში ჩაატარეს განათლების განყოფილებებმა, მეთოდურმა კაბინეტებმა, პედაგოგიურმა კოლექტივებმა შრომითი სწავლებისა და აღზრდის სრულყოფის, მისი ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მოსწავლეთა მწარმოებლურ შრომაში ჩაბმისათვის მათი მომზადებისა და პროფესიული ორიენტაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მოხსენებებსა და კამათში გამოსულთა სიტყვებში პრინციპული შეფასება მიეცა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შრომით სწავლებაში, აღზრდასა და პროფესიულ ორიენტაციაში ჯერ კიდევ არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს და გამოითქვა კონკრეტული რეკომენდაციები მათი შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს განათლების მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირ-სემინარზე მიღებული „რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე“ (თან ერთვის).

2. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო-ებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს შეისწავლონ და გააანალიზონ თათბირ-სემინარის რეკომენდაციები, განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი მათი შესრულების უზრუნველსაყოფად.

3. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. კ. სუჯაშვილი).

**კოლეგიის თავმჯდომარე,**

**მინისტრი О. ქინქლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# რეკომენდაციები

## ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე

საქართველოს სსრ სახალხო განათლების მუშაკთა თათბირ-სემინარის მონაწილეებმა, მოისმინეს და განიხილეს რა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილის ამხ. მ. კობახიძის მოხსენება „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომითი სწავლებისა და აღზრდის მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი სკკპ 26-ე ყრილობის მიერ სახალხო განათლების ორგანოების წინაშე დასმული ამოცანების შუქზე" მიიჩნევენ, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესება რესპუბლიკის სახალხო განათლების ყველა მუშაკის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

თათბირ-სემინარის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერისა და მუდმივი მზრუნველობის შედეგად სახალხო განათლების მუშაკებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს საქართველოს მშრომელთა მიერ მე-10 ხუთწლედში მოპოვებულ დიად გამარჯვებებში. მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის, სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესების საქმეში განსაკუთრებული გარდატეხა მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილებამ „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ" და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 18 აგვისტოს დადგენილებამ „მოსწავლეთა შრომითი სწავლების გასაუმჯობესებლად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ".

ზემდგომი ორგანოების მიერ მოსწავლეთა შრომით სწავლებაში მიღებული საკანონმდებლო დადგენილებების შესასრულებლად და თანამედროვე ეტაპზე ცხოვრებისეულ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად შედგენილ იქნა რესპუბლიკაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის ერთიანი სისტემის შექმნის ღონსძიებათა პერსპექტიული კომპლექსური სამუშაო გეგმა.

გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის, შრომითი სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისა და მოსწავლეთა ნაყოფიერ შრომაში ჩაბმისათვის აუცილებელი გახდა სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება და შრომითი სწავლების ეტაპობრივად განხორციელება.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს მოსამზადებელ, I-III კლასების მოსწავლეთა შრომითი სწავლებისათვის დამოუკიდებელი კაბინეტების გამოყოფის, მათი აღჭურვის, კეთილმოწყობის, ხელსაწყო-იარაღებითა და სამუშაო მასალებით უზრუნველყოფისათვის.

სწავლების მეორე საფეხურზე IV—VIII კლასებში შრომითი სწავლება ამჟამად ხორციელდება ორი პროგრამის საშუალებით: „ტექნიკური შრომა" და „მომსახურებითი შრომა"—ქალაქის სკოლებში და „სასოფლო-სამეურნეო და მომსახურებითი შრომა" — სოფლის სკოლებში.

ამ ეტაპზე სწავლების წარმატებით განხორციელებისათვის წლების განმავლობაში გატარებულ ღონისძიებათა შედეგად რესპუბლიკის საშუალო და რვაწლიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოეწყო და აღიჭურვა მერქნის დამუშავების, ლითონის დამუშავებისა და მომსახურებითი შრომის სწავლების სასწავლო კაბინეტები.

სწავლების მესამე ეტაპზე IX—X კლასებში გაღრმავებული შრომითი სწავლება დიფერენცირებულია თავისი შინაარსით და განსხვავდება ორგანიზაციის ფორმით.

გარკვეული მუშაობაა გაწეული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეთა შრომითი სწავლებისათვის საბაზო საწარმოს (ორგანიზაციის) შერჩევის, მძლავრ ქარხნებსა და ფაბრიკებში სასწავლო-საწარმოო საამქროების, საამქროებში უბნების მოწყობის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საწარმოო ნაკვეთების გამოყოფის, მათში საწარმოო პროცესების ორგანიზებულად, მაღალი შრომის ნაყოფიერებით წარმართვისა და სწავლების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

რესპუბლიკის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX—X კლასებში შრომითი სწავლების გაუმჯობესების საქმეს დიდად შეუწყო ხელი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის დადგენილებამ „მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ორგანიზაციის შესახებ", რომლის შესაბამისად რესპუბლიკაში შეიქმნა მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის 20 სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატი, რომელშიც პროფესიამდე მომზადებას ღებულობს 155 საშუალო სკოლის 14.438 მოსწავლე.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო გეგმებში ერთი ორად გაიზარდა დრო შრომითი სწავლებისათვის, განმტკიცდა სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თითქმის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა სოფლად უზრუნველყოფილია სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთებით, რომელზედაც მოსწავლეთა მიერ ტარდება სასწავლო-საცდელი მუშაობა.

ამასთან, თათბირ-სემინარის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის დიდმნიშვნელოვან საქმეში ჯერ კიდევ შეიმჩნევა სერიოზული სახის ნაკლოვანებანი.

რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთ ნაწილში სწავლების პირველ, მეორე ეტაპებზე შრომითი სწავლებისათვის შექმნილი არაა სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამ ხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სოფლის რვაწლიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

სახალხო განათლების განყოფილებებისა და სკოლების ხელმძღვანელების მიერ ამ დარგში ჩატარებული მუშაობა არ პასუხობს იმ გაზრდილ მოთხოვნებსა და ამოცანებს, რომლებიც სადღეისოდ სკოლის წინაშეა დაყენებული.

დაბალია შრომითი სწავლების გაკვეთილების, მოსწავლეთა პრაქტიკულ-შრომითი საქმიანობის პროცესის მეთოდური დონე, ნაკლებადაა გამოყენებული თვალსაჩინოებანი; ბევრ სკოლაში უფროსკლასელთა შრომითი პროფილები შერჩეულია ეკონომიკური რეგიონებისა და ადგილობრივი საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ორგანიზაციების მოთხოვნათა და საჭიროებათა გაუთვალისწინებლად. მცირეა ტექნიკურ შემოქმედებასა და საცდელ მუშაობაში, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომით საქმიანობაში საზაფხულო პრაქტიკის დროს ჩაბმულ მოსწავლეთა რაოდენობა, რაც განსაკუთრებით შეიმჩნევა ქალაქის სკოლებში.

მოსწავლეთა მასობრივი მომზადება მატერიალური წარმოების სფეროში სამუშაოდ ჯერ კიდევ ვერ უასუხებს სახალხო მეურნეობის, ცხოვრების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს, მისი ეფექტურობა და საბოლოო შედეგები არადამაკმაყოფილებელია. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი წარმოებაში მუშაობას იწყებს იმ პროფესიაში, რომელიც არ შეესაბამება სკოლაში მათი შრომითი სწავლების პროფილებს.

სერიოზული ნაკლოვანებებია მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციაში, არ ხდება მოსწავლეთა პროფესიული ინტერესებისა და მიდრეკილებების სისტემატური გამოკვლევა, მოსწავლეები არ იცნობენ პროფესიების თავისებურებებს, მათ არავინ ეხმარება მათი მოთხოვნებისა და ინტერესების შესაბამისი პროფესიების სწორად არჩევაში. პროფორიენტაციული მუშაობა, ხშირად ეპიზოდურ, ზერელე ხასიათს ატარებს და რიგ შემთხვევაში მოსწავლეები ღებულობენ დაუსაბუთებელ რჩევა-დარიგებებს, რაც საბოლოოდ არასასურველ შედეგს იძლევა.

სუსტია კონტროლი მოსწავლეთა შრომითი სწავლების პროცესში შრომის დაცვასა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, უსაფრთხოების წესების დაცვაზე. ბევრ სკოლაში მოსწავლეთა შრომითი საქმიანობა მოუწესრიგებელ, ტექნიკურად გაუმართავ სახელოსნოებსა და სამუშაო

ობიექტებზე ტარდება, გამოყენებულია მოძველებული და თითქმის უვარგისი ხელსაწყოები, მანქანა-დანადგარები.

იმის გამო, რომ მოსწავლეები სკოლაში ვერ იძენენ მტკიცე შრომით ჩვევებს, ხშირია შრომაში დასაქმებული ახალგაზრდების წარმოებიდან დენადობის შემთხვევები.

მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის შემდგომი სრულყოფის მიზნით თათბირ-სემინარის მონაწილეებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ:

— ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიურმა კოლექტივებმა, შრომითი სწავლების მასწავლებლებმა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მიიჩნიონ სკკპ 26-ე ყრილობის, აგრეთვე ზემდგომი ორგანოების სხვა სახელმძღვანელო დადგენილებების შესაბამისად მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდის, ცხოვრებისათვის მათი მომზადების, პროფესიული ორიენტაციის განუხრელი განხორციელება, ყოველმხრივ განვითარებული, შრომისმოყვარე, მაღალი მორალური თვისებების მქონე ახალგაზრდობის აღზრდა.

— სკოლაში მუშაობა ისე იქნას დაყენებული, რომ მოსწავლეები ფართოდ ჩაებან ნაყოფიერ შრომით საქმიანობაში. შრომითი სწავლების პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესწავლით ისინი იარაღდებოდნენ იმ ცოდნითა და შრომითი ჩვევებით, რომლებიც დაეხმარებათ პროფესიის სწორად არჩევასა და მატერიალური წარმოების იმ სფეროში მუშაობის დაწყებაში, რომელიც თითოეული მათგანისათვის ყველაზე შესაფერისი, საინტერესო და პერსპექტიულია.

— განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სკოლებში შრომითი სწავლების მატერიალური ბაზების გაუმჯობესებასა და სრულყოფას; ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლაში მოქმედი სასწავლო პროგრამების მოთხოვნათა შესაბამისად და არსებული ტექნიკური ნორმების მიხედვით გადახალისდეს სასწავლო სახელოსნოები, საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტები, გაფართოვდეს სკოლების სასწავლო-საცდელ ნაკვეთებსა და წარმოების მიერ სკოლებისათვის გამოყოფილ ობიექტებზე მოსწავლეთა საცდელი მუშაობა სოფლის მეურნეობაში, ფართოდ გაიშალოს მოსწავლეთა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომითი საქმიანობა, მათი ჩაბმა ნაყოფიერ მწარმოებლურ შრომაში.

— მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე რესპუბლიკის ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლაში, სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებში შეიქმნას პროფესიული ორიენტაციის კაბინეტი ან კუთხე სათანადო თვალსაჩინო მასალებით და მეთოდური ლიტერატურით. პროფორიენტაციის კაბინეტი უნდა გახდეს ახალგაზრდობისათვის პროფესიების, უპირატესად მოცემული სკოლის გარემომცველი ეკონომიკური რეგიონის სახალხო მეურნეობისათვის დამახასიათებელი გაც-

ნობის ცენტრი. აქვე წარიმართოს მოსწავლეთა პროფესიული ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოკვლევა, დადგინდეს თითოეული მათგანისათვის ყველაზე სწორი და პერსპექტიული პროფესიები, რომელთა არჩევაზე მიეცეს დასაბუთებული რეკომენდაციები, პროფორიენტაციის კაბინეტში გაფართოვდეს მუშაობა მოსწავლეთა მშობლებთან, მოეწყოს უფროსკლასელთა შეხვედრები წარმოების მოწინავეებთან.

— ზემოდგომი ორგანოების დადგენილებათა შესაბამისად უფროსკლასელთა შრომითი აღზრდის, პროფესიული ორიენტაციის საქმის გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით იქ, სადაც არსებობს სათანადო პირობები, დაჩქარდეს საწარმოებში სასწავლო-საწარმოო საამქროების, სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატის გახსნა.

— იმ მიზნით, რომ შრომითი სწავლება და მატერიალური წარმოების სფეროში სამუშაოდ მოსწავლეთა მომზადება, პროფესიის სწორად არჩევა მიზანსწრაფული და ეფექტური გახდეს, საჭიროდ ჩაითვალოს სკოლის სასწავლო სახელოსნოების, სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების, შრომითი სწავლების კაბინეტების უზრუნველყოფა თანამედროვე მანქანა-იარაღებითა და სხვა საჭირო მოწყობილობებით;

— პედაგოგიური კოლექტივების უპირველეს ამოცანად ჩაითვალოს მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდის, ნაყოფიერი შრომითი საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვა, რომლის დროსაც: შრომითი ჩვევებით შეიარღებისა და გარკვეული მატერიალური ფასეულობის პროდუქციის შექმნის პარალელურად ხელი შეეწყოს მოსწავლეთა შრომისმოყვარეობის აღზრდას, შრომისადმი კომუნისუტრი დამოკიდებულებისა და კოლექტიური შრომითი ჩვევების გამომუშავებას, საკუთარი გონებრივი და ფიზიკური ძალების მოსინჯვას მათთვის საინტერესო პროფესიებში;

— გაუმჯობესდეს სკოლების, სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების შრომითი სწავლების მაღალკვალიფიციურ მასწავლებელთა კადრებით დაკომპლექტება. მიზანშეწონილად ჩაითვალოს შრომითი სწავლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა გაძლიერება, განსაკუთრებით იმ მასწავლებლებისა, რომლებსაც უმაღლესი პედაგოგიური განათლება არ მიუღიათ;

— გაფართოვდეს და უფრო შემოქმედებითი, ნაყოფიერი გახდეს სკოლისა და შეფი საწარმო-დაწესებულებების ურთიერთკავშირი. საბაზო საწარმოებმა ყოველდღიური ზრუნვის ობიექტად გახადონ სკოლა, იზრუნონ მისი სასწავლო-მატერიალური პირობების გაუმჯობესებაზე, დაეხმარონ კომბინატების მოწყობა-სრულყოფაში, შექმნან სასწავლო-საწარმოო საამქროები და უბნები მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკის ჩასატარებლად და ნაყოფიერი შრომითი საქმიანობისათვის; სა-

წარმოო შრომითი ჩვევების გამომუშავებისა და მოცემულ პროფესიებ-ში პრაქტიკული საქმიანობისათვის, წარმოებაში მოსწავლეთა ადაპტი-რებისათვის და მოსწავლეები მიამაგრონ წარმოების მოწინავე მუშებს, დამრიგებლებს, დაეხმარონ შესაფერისი პროფესიის სწორად არჩევაში, საბჭოთა მუშის საუკეთესო თვისებებისა და შრომისადმი კომუნის-ტური დამოკიდებულების გამომუშავებაში;

— გაფართოვდეს მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების შრომითი საქმიანობა, აქტიურად იქნან ჩაბმული საზოგადოებრივ-საწარმოო ნა-ყოფიერ მუშაობაში ქალაქებისა და სოფლის სკოლების მოსწავლეები განსაკუთრებით უფროსკლასელები; განვითარდეს საწარმოო ბრიგადებ-ში ახალგაზრდობის თვითმმართველური საქმიანობა, რათა ხელი შეე-წყოს შრომითი ინიციატივის გამოვლენას, წახალისდეს მოსწავლეთა რაციონალიზატორული წინადადებები და მოხდეს პრაქტიკაში მათი დანერგვა, მიღებული დადებითი შედეგების ფართო განზოგადება; დამყარდეს საქმიანი, შემოქმედებითი, ურთიერთსასარგებლო შრომითი კავშირები მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებსა და წარმოების ბრიგა-დებს შორის; მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების საქმიანობაში ფარ-თო ადგილი დაიკავოს მოწინავე შრომითმა ტრადიციებმა, გამოჩენილ მუშაკთა მუშაობის გამოცდილებამ, საწარმოო ბრიგადებში მოსწავლე-თა შრომითი საქმიანობისას გამოვლენილ იქნას მოსწავლეთა პროფე-სიული ინტერესები და მიდრეკილებები, ხელი შეეწყოს პროფესიის სწორად არჩევაში სათანადო გადაწყვეტილებების მიღებას, მოსწავლე-თა შრომითი საქმიანობა საწარმოო ბრიგადებში უნდა იქცეს თითო-ეული ახალგაზრდის მიერ ორიენტირებული პროფესიისადმი ადაპტა-ციის ერთ-ერთ საუკეთესო ფორმად და საშუალებად;

— სკოლებში შემოქმედებითად, შრომითი აღზრდის ინტერესების შესაბამისად იქნას გამოყენებული მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკა და მოსწავლეთა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომითი საქმიანობა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო და სასარგებლო ფორმა მოსწავლეთა-თვის წარმოებაში შრომის პირობებისა და შრომის მეცნიერულ-ტექნი-კური ორგანიზაციის გასაცნობად, ასარჩევი პროფესიისათვის დამახა-სიათებელი შრომითი საქმიანობის ჩასატარებლად, პრაქტიკულ-შრომი-თი ჩვევების დასაუფლებლად, თავისი შესაძლებლობებისა და პერსპექ-ტივების მოსასინჯად და, საერთოდ, წარმოების ტექნოლოგიური პრო-ცესების შესწავლისათვის, რათა სკოლის დამთავრების შემდეგ საკუ-თარ ძალებსა და შესაძლებლობებში დარწმუნებული მოსწავლე ახალ-გაზრდობა საკუთარი ინიციატივით, ხალისით მიდიოდეს ფაბრიკა-ქარხნებში, სოფლის მეურნეობაში აქტიური შრომითი საქმიანობის ფერხულში ჩასაბმელად;

— მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ყველა სკოლის მჭიდრო, საქმიანი ურთიერთკავშირი რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკურ სას-

წავლებლებთან, სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით დავუახლოვოთ საშუალო სკოლისა და პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები ერთმანეთს, მოეწყოს საშუალო სკოლის მოსწავლეების შეხვედრები პროფტექნიკური სასწავლებლების მასწავლებლებთან და ოსტატებთან, გაფართოვდეს პროფტექნიკური სასწავლებლების სასწავლო კაბინეტებში, ლაბორატორიებსა და საამქროებში საშუალო სკოლის მოსწავლეთა შრომის გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა; ხელი შეეწყოს მოსწავლეთა სწორი წარმოდგენების შექმნას პროფტექნიკურ სასწავლებლებზე, მათ პროფესიებზე და მაღალკვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემებზე;

— სკოლაში გაძლიერდეს და ფართოდ იქნას გამოყენებული შრომითი სწავლებისა და პროფორიენტაციული მუშაობის სისტემაში უფროსი თაობის მდიდარი შრომითი ტრადიციების ადგილობრივი კონკრეტული მაგალითები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შრომისადმი სიყვარულის აღზრდის, პროფესიის სწორად არჩევის, შრომითი დავალებების კეთილსინდისიერად შესრულების, შრომისადმი ერთგულებისა და თავდადების და სხვა დადებითი ჩვევებისა და ჩვეულებების აღზრდას;

— მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის დარგში სკოლებისა და მასწავლებლების მოწინავე გამოცდილების ფართოდ განზოგადება ინფორმაციის ყველა წყაროს საშუალებით; გეგმაზომიერად მოეწყოს ამ მიმართულებით რაიონული (საქალაქო) და რესპუბლიკური მნიშვნელობის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები და თათბირ-სემინარები, სკოლებისა და საბაზო საწარმოთა (ორგანიზაციათა) წარმომადგენლების შეკრებები ჩატარებული მუშაობის შეჯამება-შეფასებისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის სათანადო ღონისძიებათა შესამუშავებლად;

— შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით ადგილებზე კონკრეტული ამოცანები დასახონ შესაბამისმა სასკოლო კომისიებმა, მეთოდურმა გაერთიანებებმა, სკოლის შეფ დაწესებულებებთან ერთად დღენიადაგ იზრუნონ მასწავლებელთა მეთოდური დახელოვნების, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ჩაატარონ შინასასკოლო და სასკოლათაშორისო ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მასწავლებელთა მუშაობის გაუმჯობესებას.

— სახალხო განათლების რაიონულმა (საქალაქო) განყოფილებებმა გააძლიერონ შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფორიენტაციული მუშაობისადმი კონტროლი და ხელმძღვანელობა, ჯეროვანი მომთხოვნელობის პრინციპის დაცვით დროულად გამოავლინონ ნაკლოვანებანი, დასახონ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების კონკრეტული

გზები და საშუალებები, პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ სკოლებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, დაეხმარონ მასწავლებლებს მეთოდური მუშაობის სრულყოფაში, შრომითი აღზრდის ორგანიზაციული და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში, შეიმუშაონ ამ მიმართებით სკოლების მუშაობის დაგეგმვის მწყობრი სისტემა, მოახდინონ მიღებული დადგენილებების შესრულების სისტემატური კონტროლი და შემოწმება, უზრუნველყონ მატერიალური წარმოების სფეროში მუშაობისათვის ახალგაზრდობის მომზადების გაუმჯობესება სკოლებთან ახლომდებარე საწარმოთა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა გამოყენების გათვალისწინებით; უზრუნველყონ სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების, სასწავლო საამქროების, სასკოლო სახელოსნოების, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებისა და მოსწავლეთა სხვა შრომითი გაერთიანებების ქსელის განვითარება;

— ეთხოვოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი სწავლებისათვის ძირითადი და მასობრივი მნიშვნელობის პროფესიებში მოსწავლეთა სახელმძღვანელოების, მასწავლებელთა მეთოდური ლიტერატურის შედგენა-გამოცემა;

თათბირ-სემინარის მონაწილეები ერთსულოვნად იწონებენ დუშეთის რაიონის ახალგაზრდობისა და კომკავშირული აქტივის შეკრების მონაწილეთა მიმართვას რესპუბლიკის ყველა კომკავშირელის, პიონერის, ქალიშვილისა და ჭაბუკისადმი ხელი მოკიდონ რესპუბლიკაში კაკლის ხეების გაშენებას და ამ წამოწყებას მისცენ საყოველთაო-სახალხო ხასიათი. თათბირ-სემინარის მონაწილენი ვალდებულებას იღებენ, ფართოდ ჩააბან რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები კაკლის ხეების გაშენების საქმეში, რითაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „რესპუბლიკაში მეკაკლეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ პრაქტიკულად განხორციელებაში.

გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ და ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ უფრო ფართოდ გააშუქონ მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის საკითხები.

**სკოლების სამმართველო**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 17 ივნისის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გეომეტრიის ახალი სახელმძღვანელოთი სწავლების შემოღების შ ე ს ა ხ ე ბ

განიხილა რა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მათემატიკის სასწავლო-მეთოდური საბჭოს წინადადება რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გეომეტრიის ახალი სახელმძღვანელოთი სწავლების შემოღების შესახებ, კოლეგია აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ზოგიერთი რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ექსპერიმენტის წესით ა. ვ. პოგორელოვის სახელმძღვანელოთი გეომეტრიის სწავლების შედეგებმა ცხადყო აღნიშნული სახელმძღვანელოს უპირატესობა მეცნიერული და პედაგოგიური თვალსაზრისით, მოსწავლეთა მიერ საპროგრამო მასალის უკეთ ათვისება, გეომეტრიის სასკოლო კურსის პრაქტიკული მიმართულების გაძლიერება. აღნიშნულიდან გამომდინარე კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შემოღებულ იქნას 1982—1983 სასწავლო წლიდან ა. ვ. პოგორელოვის „გეომეტრია 6-10“ სახელმძღვანელოთი სწავლება რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო რუსულ ენაზე სწავლების სკოლების VI კლასებში და აგრეთვე ქ. თბილისის 1-ლი ექსპერიმენტული სკოლის ორ და მე-3 ექსპერიმენტული სკოლის ერთ VI კლასში, ხოლო 1983—1984 სასწავლო წლიდან ამ სახელმძღვანელოთი სწავლება შემოღებულ იქნას რესპუბლიკის ქართული, აზერბაიჯანული და სომხური სკოლების ყველა VI კლასში.

2. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ .ნ. ღლონტი) 1982 წლის 10 აგვისტომდე უზრუნველყოს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო რუსულ ენაზე სწავლების სკოლები ა. ვ. პოგორელოვის „გეომეტრია — 6—10“ სახელმძღვანელოებით (IV გამოცემა), ხოლო 1983 წლის 1 აპრილამდე მათი ქართულ ენაზე გამოცემა.

— დროულად უზრუნველყოს რესპუბლიკის სკოლები ა. ვ. პოგორელოვის „გეომეტრია 6—10“ სახელმძღვანელოთი სწავლებისათვის საჭირო მეთოდური ლიტერატურითა და დიდაქტიკური მასალებით.

3. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია) მიმდინარე წლის 10 აგვისტომდე უზრუნველყონ რუსულ ენაზე სწავლების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების VI კლასის მათემატიკის მასწავლებელთა საკურსო გადამზადება, ხოლო ქართული, აზერბაიჯანული და სომხური სკოლების VI კლასების მასწავლებლებისა — 1983 წლის 1 ივნისამდე.

— შეიტანოს სათანადო კორექტივები მასწავლებელთა გადამზა-

დების პერსპექტიულ გეგმაში მომდევნო წლებში შესაბამის კლასებში გეომეტრიის ახალი სახელმძღვანელოთი სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით.

4. ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. ე. საყვარელიძე) მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების მეთოდისტების, რაიონების (ქალაქების) მათემატიკის მეთოდგაერთიანებათა ხელმძღვანელებისა და მეთოდკაბინეტების მეთოდისტებისათვის ჩაატაროს თათბირ-სემინარი გეომერტიის ახალი სახელმძღვანელოთი სწავლების საკითხებზე.

— სისტემატური დახმარება გაუწიოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებსა და რაიონულ (საქალაქო) მეთოდკაბინეტებს გეომეტრიის ახალი სახელმძღვანელოთი სწავლების ორგანიზაციისა და დანერგვისათვის.

5. გაზეთ „სახალხო განათლების“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, ა. გოგელია) ფართოდ გააშუქონ გეომეტრიის ახალი სახელმძღვანელოთი სწევლების მდგომარეობა. ჟურნალის დამატების „ფიზიკა და მათემატიკა სკოლაში“ რედაქციამ (ამხ. ა. ბენდუქიძე) გამოაქვეყნოს მასალები მასწავლებელთა დასახმარებლად სპეციალური რუბრიკით „ახალი პროგრამით, ახალი სახელმძღვანელოთი“.

6. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს მიიღონ ზომები VI კლასებში ა. ვ. პოგორელოვის გეომეტრიის ახალი სახელმძღვანელოთი სწავლებაზე შეუფერხებლად გადასვლისათვის; პერიოდულად შეისწავლონ აღნიშნული სახელმძღვანელოთი სწავლების მიმდინარეობა და შედეგები განიხილონ სამინისტროების კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე, სადაც დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ა. ვ. პოგორელოვის გეომეტრიის ახალი სახელმძღვანელოთი სწავლების წარმატებით განხორციელებისათვის.

7. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) პერიოდულად შეისწავლოს რესპუბლიკის სკოლებში მათემატიკის ახალი პროგრამებით და გეომეტრიის ახალი სახელმძღვანელოებით სწავლების მდგომარეობა და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებანი. დააწესოს კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი** **ო. ქინქლაძე**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1982 წლის 17 ივნისის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების 1-ლი რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების 1-ლი რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ ცნობა (თან ერთვის) დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქ. თბილისის განათლების სამმართველოს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, კომკავშირულ და პროფკავშირულ კომიტეტებს.

2. გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების 1-ლ რესპუბლიკურ დათვალიერებაში გამარჯვებულად ჩაითვალოს:

ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის გახანგრძლივებული დღის სკოლა — I ადგილი

ქ. სოხუმის მე-15 გახანგრძლივებული დღის სკოლა — II ადგილი

ქ. ბათუმის 28-ე საშუალო სკოლა — III ადგილი

3. დათვალიერების დებულების შესაბამისად სასწავლო-მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად ინვენტარ-მოწყობილობის შესაძენად ცენტრალიზებული წესით გამოეყოთ:

ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის გახანგრძლივებულ დღის სკოლას — 100 მან.

ქ. სოხუმის მე-15 გახანგრძლივებულ დღის სკოლას — 700 მან.

ქ. ბათუმის 28-ე საშუალო სკოლას — 500 მან.

4. დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, განათლების უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

ა) ქ. სოხუმის, ქ. ბათუმის, ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეები ამხ. ამხ. მ. მალიშავა, ზ. კობახიძე, ნ. კალანდია;

ბ) ქ. სოხუმის მე-15, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის გახანგრძლივებული დღის და ქ. ბათუმის 28-ე საშუალო სკოლის დირექტორები ამხ. ამხ. ა. ნარსია, ვ. ნაჭყებია, ს. მალაზონია;

გ) აღმზრდელები: ამხ. ამხ. გ. ჭელიძე, ლ. გოგია, ე. კრასიკოვა (ქ. სოხუმი), ი. კანდელაკი (ქ. ბათუმი), თ. ნანეიშვილი, მ. კვარაცხელია, ლ. გაგუა, დ. სუბელიანი, ნ. ჯანაშია, ე. თოდრია, თ. თოდუა, ლ. თოდრია (ზუგდიდის რაიონი);

დ) ადგილკომის თავმჯდომარეები: დ. სუბელიანი, ნ. მანინი, რ. მიქაძე;

ე) შეფი ორგანიზაციის ხელმძღვანელები: ამხ. ამხ. ზ. თოდუა ბ. ქარჩავა, ჯ. გუგუჩია (ზუგდიდის რაიონის სოფლების რუხის, ინგირისა და კახათის კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეები), გ. წითლიძე (მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე).

ვ) აღინიშნოს ქ. თბილისის ლენინის, გლდანის, კალინინის, კიროვის და საქარხნო რაიონების, ქ. ქ. ზუგდიდის, ფოთის, აგრეთვე ახალციხის, ახმეტის, ვანის, ქარელის, კასპის, ლენტეხის, მესტიის, სიღნაღის, თიანეთის, წალენჯიხის, წალკის, წითელწყაროს და ცხაკაიას რაიონების სახალხო განათლების განყოფილებების, კომკავშირისა და პროფკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების 1-ლი რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარებაში, რომლებმაც დათვალიერების შედეგები სრულებით არ წარმოადგინეს რესპუბლიკურ კომისიაში.

5. სახალხო განათლების ორგანოებმა, კომკავშირისა და პროფკავშირის კომიტეტებმა კიდევ უფრო იზრუნონ გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფისათვის.

6. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია) უზრუნველყოს გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლების უკეთ ორგანიზება, მოწინავე აღსაზრდელთა მუშაობის გამოცდილების განზოგადება.

7. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) უზრუნველყოს გახანგრძლივებული სკოლებისა და ჯგუფების საჭირო ინვენტარ-მოწყობილობით, რბილი და მაგარი ინვენტარით, სათამაშოებით მომარაგება.

8. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ბ. აფხაზავა) ახალი სასკოლო შენობების პროექტებში გაითვალისწინოს გახანგრძლივებული ჯგუფებისათვის საჭირო დამხმარე სათავსოები.

9. გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძე) გააშუქოს გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების 1-ლი

რესპუბლიკური დათვალიერების შედეგები, ასევე მოწინავეთა მუშაობის გამოცდილება.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს სასკოლო ინტერნატების, გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფებისადმი ორგანიზაციული ხელმძღვანელობის სპეციალურმა ჯგუფმა საქმიანი დახმარება გაუწიოს რესპუბლიკის გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებს ყოველდღიურ საქმიანობაში.

11. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) და პროფკავშირის რესპუბილკური კომიტეტის საწარმოო მუშაობისა და ხელფასის განყოფილებამ (ამხ. ა. ჟორჟოლაძე) საჭირო კონრტოლი დააწესონ ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

ო. ქინქლაძე

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

მ. ხაჩიძე

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე დ. იოსელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობა

## გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების 1-ლი რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების თანახმად 1981—1982 სასწავლო წელს ჩატარდა გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების 1-ლი რესპუბლიკური დათვალიერება.

დებულების შესაბამისად დათვალიერება ჩატარდა ორ ეტაპად: I— ადგილობრივი — სარაიონო კომისიების მიერ, ხოლო II — რესპუბლიკური კომისიის მიერ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ა/ო და რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა კომისიების მიერ წარმოდგენილი მასალების თანახმად, რომელთაგან ზოგიერთი გადამოწმდა სამინისტროს სკოლების სამმართველოსთან არსებული სპეციალური ჯგუფის მიერ.

დათვალიერებამ ერთის მხრივ ხელი შეუწყო გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მატერიალური ბაზის განმტკიცებას, მათი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, მოსწავლეთა სწავლების, აღზრდილობის დონის ამაღლებას და მეორეს მხრივ გამოვლინდა, რომ ადგილებზე სახალხო განათლების ორგანოების მიერ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების დახმარებით მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილების „სოფლის სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და სკკპ 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების უზრუნველსაყოფად.

გასულ წლებთან შედარებით საგრძნობლად გაფართოვდა გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების ქსელი, დღეისათვის რესპუბლიკაში 13 გახანგრძლივებული დღის სკოლაა 5977 აღსაზრდელით (1978 წელს 3—1497 აღსაზრდელით) და 3800 ჯგუფი 111.010 აღსაზრდელით (1978 წელს — 2.994 ჯგუფი — 85.622 აღსაზრდელით). სულ სკოლებისა და ჯგუფების აღსაზრდელთა კონტინგენტმა 116.987 შეადგინა, ანუ 0—VIII კლასების მოსწავლეთა საერთო რაოდენობის (736.540) 15,9%; ამ მხრივ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს წალენჯიხის 54%, თიანეთის 50,34%, ლენტეხის 47,45%, ბოლნისის და სხვა რაიონებმა.

აღნიშვნის ღირსია და განზოგადებას იმსახურებს ზუგდიდის რაიონის სოფლების კახათის, ინგირის მე-2 საშუალო და რუხის გახანგრძლივებული დღის სკოლების მუშაობა (განათლების განყოფილების გამგე ამხ. ნ. კალანდია, სკოლების დირექტორები: ამხ. ამხ. ტ. ქორთუა, კ. ეხვაია ,ვ. ნაჭყებია), სადაც ყველა პირობაა შექმნილი აღსაზრდელთა ნორმალური ცხოვრებისა და სწავლა-აღზრდის სრულყოფისათვის. ზუგდიდის რაიონში სულ გახანგრძლივებული დღის 3 სკოლა და 51 ჯგუფია, სადაც სწავლობს 2374 მოსწავლე, ახალი სასწავლო წლისათვის დამატებით გაიხსნება 2 გახანგრძლივებული დღის სკოლა და 5 ჯგუფი.

შეფმა ორგანიზაციებმა — სოფლების კახათის, ინგირისა და რუხის კოლმეურნეობებმა (თავმჯდომარეები: ამხ. ამხ. ჯ. გუგუჩია, ბ. ქარჩავა, ზ. თოდუა) — უკანასკნელი 3 — 4წლის განმავლობაში სკოლების მშენებლობის, მათი დგამ-ავეჯით უზრუნველყოფის, სპორტული დარბაზის და მოედნების, ეზოს, კაბინეტ-ლაბორატორიების კეთილმოწყობისა და სხვა სამუშაოებისათვის დახარჯეს შესაბამისად 545.000, 516.000, 508.000 მანეთი.

რესპუბლიკაში სკოლების ბევრი შეფი ორგანიზაცია გამოეხმაურა აღნიშნულ კოლმეურნეობათა ინიციატივას გახანგრძლივებული დღის სკოლების აღსაზრდელთა ორჯერადი უფასო ცხელი კერძებით კვების თაობაზე. სამივე კოლმეურნეობა გახანგრძლივებული დღის სკოლების 800-ზე მეტი აღსაზრდელის კვებას ახმარს 90-95 ათ. მანეთს წელიწადში. მახარაძის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა 1981 წლის 17 ნოემბერს განიხილა და მოიწონა სოფლების ნატანების, მელექედურის და ჯუმათის კოლმეურნეობების (თავმჯდომარეები: ამხ. ამხ. გ. წითლიძე, ა. ტულუში, ო. ჩხარტიშვილი) ინიციატივა გახანგრძლივებული დღის სკოლების მოსწავლეთა უფასო კვების უზრუნველყოფის შესახებ. მარტო სოფელ ნატანების კოლმეურნეობა ერთჯერადი ცხელი კერძებით უფასოდ კვებავს 703 მოსწავლეს. გურჯაანის რაიონის 10 საშუალო სკოლის 28 გახანგრძლივებული ჯგუფის 800-ზე მეტ აღსაზრდელს უფასოდ კვებავენ რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. გეგეჭკორის რაიონის კოლმეურნეობები კვების ხარჯების შეღავათებს უწევენ რაიონის 6 სკოლის გახანგრძლივებული ჯგუფების 350 მოსწავლეს. ანალოგიური მდგომარეობაა წალენჯიხის და სხვა რაიონებში.

მუშაობის კარგი პირობებია შექმნილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ქ. სოხუმის მე-15 გახანგრძლივებული დღის სკოლისა და რიგი სკოლების გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში. ქ. სოხუმის მე-15 გახანგრძლივებული დღის სკოლა (დირექტორი ამხ. ა. ნარსია) ტიპურ შენობაშია მოთავსებული — გადასულია სწავლების კაბინეტურ სისტემაზე, გააჩნია კეთილმოწყობილი სასადილო 300 მოსწავლე-ადგილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლაში არის გახანგრძლივებული დღის 25 ჯგუფი, სადაც ჩარიცხულია და სწავლობს 657 აღსაზრდელი. სკოლის პედაგოგიური კოლექტივი დღის მეორე ნახევარში მჭიდროდ არის დაკავშირებული აღმზრდელთა საქმიანობასთან. პედაგოგები და აღმზრდელები ერთად წყვეტენ აღსაზრდელთა თვითმომზადებისა და თავისუფალი დროის ორგანიზებულად წარმართვის საკითხებს.

ზუგდიდის და სოხუმის გახანგრძლივებული დღის სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საწრეო, სექციურ, საკლუბო მუშაობას, ბავშვთა თვითშემოქმედებითი უნარის განვითარებას. მათი მუშაობის რეჟიმი არ შემოიფარგლება მარტო საშინაო დავალების მომზადებით, კვებით და ძილით, არამედ რეჟიმის მრავალფეროვნება ფართო გზას უხსნის ბავშვთა ინტერესის, მათი მისწრაფების დაკმაყოფილებას. სათანადო დონეზე დგას გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობისადმი მეთოდური დახმარების სამსახური ქ. გორის, გორის რაიონის, ზუგდიდის, აბაშის, ქ. სოხუმისა და ქ. ბათუმის განათლების განყოფილებებში.

ზუგდიდის რაიონის გახანგრძლივებული დღის სკოლებში კარგად არის ორგანიზებული აღსაზრდელთა ცხელი კერძებით კვება. ამ სკოლების ყველა აღსაზრდელი უფასო ორჯერადი კვებითაა უზრუნველყოფილი ხოლო სოხუმის მე-15 საშუალო სკოლაში 56 აღსაზრდელი გათავისუფლებულია კვების ხარჯებისაგან. დამაკმაყოფილებელია კვების პროდუქტებით მომარაგება. სკოლის საწყობში სისტემატურად 20—21 დასახელების პროდუქტია და ცხელი კერძები ადგილზე მზადდება.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ქ. ბათუმის 28-ე საშუალო სკოლის გახანგრძლივებული დღის ჯგუფები (სკოლის დირექტორი ამხ. ს. გ. მალაზონია — აღმზრდელები: ამხ. ამხ. ი. კალანდაძე, ტ. გოგუაძე, ლ. გაბედავა). განზოგადებას იმსახურებს იმ გახანგრძლივებული ჯგუფის საქმიანობა, რომელსაც ხელმძღვანელობს ახალგაზრდა შემოქმედი პედაგოგი ინეზა კანდელაკი, რომლის დადებითი გამოცდილების შესახებ ბევრჯერ უმსჯელია ქ. ბათუმის განათლების განყოფილებას და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს. მიუხედავად მატერიალური ბაზის ერთგვარი სივიწროვისა, აღმზრდელი ყველა საჭირო პირობას ქმნის ჯგუფში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებისათვის. მაღალია 0-1 კლასების აღსაზრდელთა აღზრდილობის დონე და თვითშემოქმედების უნარი. აღმზრდელს კარგად აქვს გაგებული გახანგრძლივებული დღის პრობლემა. მისი მუშაობა დღის მეორე ნახევარში მთლიანად განსხვავდება საგაკვეთილო პროცესისაგან და მიმზიდველს ხდის მრავალფეროვან ღონისძიებებს. ჯგუფში ჩამოყალიბებულია მხატვრული კითხვის წრე, შექმნილია „ნორჩი თეატრი", ეწყობა ზღაპრების ინსცენირება, ჯგუფელები არიან „სასწრაფო დახმარების" წევრები და მკურნალობენ „ავად-

მყოფ“ წიგნებს. ყველა თამაში, მიზანს ემსახურება: „რუსული ზღაპრების ლოტო“, „აბა გამოიცან“, „ხიდობანა“, „მხიარული სტარტი“ და სხვა.

აღმზრდელ კანდელაკის მუშაობა მისაბაძია და დიდად ეხმარება სხვა აღმზრდელებს დაოსტატებაში. ამით არის განპირობებული ამავე სკოლის გახანგრძლივებული დღის მეორე ჯგუფის აღმზრდელის ლ. გაბედავას ნაყოფიერი მუშაობაც. სკოლის ხელმძღვანელობა და რაიონის განათლების განყოფილების მეთოდური გაერთიანება სწორად ხელმძღვანელობენ გახანგრძლივებულ ჯგუფებს მუშაობაში.

დამაკმაყოფილებლად აწყობენ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას გახანგრძლივებულ დღის ჯგუფებში ქ. რუსთავის მე-11 საშუალო (დირექტორი ჯ. მგალობლიშვილი), გალის რაიონის სოფელ გინძეწყრის (დირექტორი ა. ბაგითელია), ოჩამჩირის მე-5 (დირექტორი შ. ქაჯაია), გულრიფშის რაიონის სოფელ კელასურის საშუალო (დირექტორი პ. ქარჩავა), მახარაძის რაიონის 1-ლ, სოფლების ნატანებისა და ვაკიჯვრის საშუალო (დირექტორები: შ. ხავთასი, ლ. კოსტავა, მ. გოლიაძე), ქ. გორის მე-3 საშუალო (დირექტორი ქ. კიკნაძე) სამტრედიის 1-ლ საშუალო (დირექტორი ნ. ჯიქიძე), საგარეჯოს მე-4 (დირექტორი — მ. პიტიურაშვილი), სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მე-2, მე-4, მე-7 საშუალო (დირექტორები: ვ. ხუბაევი, რ. ბაქრაძე, ხ. ცხოვრებოვი), მცხეთის რაიონის 1-ლი საშუალო (დირექტორი ა. ლაშხაური), გორის რაიონის სოფელ ტინის ხიდის რვაწლიანი (დირექტორი ვ. ღიბრაძე), თელავის რაიონის მე-2, გუდაუთის რაიონის გამბორის, ტყვარჩელის რაიონის მე-2 საშუალო, ქ. ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის მე-2 და 32-ე საშუალო სკოლებში.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობაში კვლავ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია. აღნიშნული ტიპის დაწესებულებების ქსელის გაფართოებაში შეიმჩნევა ნელი ტემპი და იგი ვერ აკმაყოფილებს დღევანდელობის მოთხოვნებს.

გახანგრძლივებული დღის სკოლები არაა გახსნილი ქ. თბილისის ლენინის, კალინინის, კიროვის, ოქტომბრის რაიონებში და ისეთ ქალაქებში, როგორიცაა ქუთაისი, გორი, ფოთი და რუსთავი; გახანგრძლივებული დღის ჯგუფები არ გააჩნიათ ადიგენის, ბოგდანოვკისა და ყაზბეგის რაიონებს.

გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში აღსაზრდელთა ჩაბმის ძალზე დაბალი მაჩვენებლები აქვთ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას — 7,60% ,ქ. ქუთაისს — 7,93%, ქ. ჭიათურას — 5,19%, დუშეთის — 3%, ქარელის — 2,52% და სხვა რაიონებს.

განათლების ხელმძღვანელი ორგანოების უყურადღებობით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და

ჯგუფების 1-ლი რესპუბლიკური დათვალიერების შედეგები არ წარმოუდგენიათ ქ. თბილისის ლენინის, გლდანის, კალინინის, კიროვისა და საქარხნო რაიონებს, ქ. ქ. ზუგდიდის, ფოთის, ახალციხის, ახმეტის, ვანის, ქარელის, კასპის, ლენტეხის, მესტიის, სიღნაღის, თიანეთის, წალენჯიხის, წალკის, წითელწყაროსა და ცხაკაიას რაიონებს. ნაცვლად 15 აპრილისა დათვალიერების მასალები 16-დან 21 აპრილამდე წარმოადგინა 24 რაიონმა, 22 აპრილიდან 30 აპრილამდე — 22 რაიონმა, ხოლო 30 აპრილიდან 11 მაისამდე — 2 რაიონმა. მასალები საერთოდ არ წარმოუდგენია 15 რაიონს.

გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს. ჯგუფები განსაკუთრებით განიცდიან სათამაშო, დასასვენებლი და საძილე ოთახების ნაკლებობას, რის გამოც როგორც საგაკვეთილო, ისე დღის მეორე ნახევარში რეჟიმული ღონისძიებები ტარდება ერთ ოთახში, რაც ფსიქოლოგიურად ცუდად მოქმედებს ბავშვთა ჯანმრთელობაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ქ. თბილისის 165-ე და 166-ე, ზესტაფონის, წულუკიძის, აბაშის, გურჯაანის, თერჯოლის, გარდაბნის, ასპინძის, დუშეთის, ჭიათურის, ონის, წყალტუბოს, ბოლნისის, მაიაკოვსკის, ხაშურისა და სხვა რაიონების გახანგრძლივებული დღის სკოლებში.

ნაკლოვანებებით ხასიათდება აღმზრდელობითი მუშაობა. ხარვეზებია მუშაობის დაგეგმვაში, არაორგანიზებულია აღსაზრდელთა თვითმომზადების და თავისუფალი დროის ორგანიზაცია ზესტაფონის, ტყიბულის, თეთრიწყაროს, გარდაბნის, წყალტუბოს, ბოლნისის, მაიაკოვსკისა და ხაშურის რაიონების სკოლების გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში, სადაც ნაკლებად ზრუნავენ აღმზრდელ-მასწავლებელთა კადრების შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

წყალტუბოს ზონის, ხობის, ორჯონიკიძის, გარდაბნის, თერჯოლის, გურჯაანის, აბაშის, საგარეჯოსა და ზესტაფონის რაიონების სკოლების გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში კვლავ ხარვეზებია აღსაზრდელთა საზოგადოებრივი კვების საქმეში, ღარიბია ასორტიმენტი, ერთფეროვანია კერძები და ერთჯერადი კვება.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა კვების საქმეში იმ სკოლებსა და ჯგუფებში, სადაც ადგილზე არ მზადდება კერძები და მომარაგებას აწარმოებენ საბაზო სასადილოები ან სასადილოების გაერთიანების ტრესტები.

ჩამოთვლილ და რიგ სხვა რაიონებში ჯერ კიდევ უმოქმედობას იჩენენ შეფი ორგანიზაციები, რომელთა დახმარება უმნიშვნელოა საერთოდ სკოლებისადმი და განსაკუთრებით გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისადმი. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ას-

პინიძის, ორჯონიკიძის, გარდაბნის, ხობისა და სხვა რაიონებში.

აღნიშნული და სხვა ნაკლოვანებები შედეგია იმისა, რომ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები თავიანთ მუშაობაში ნაკლებად ხელმძღვანელობენ გახანგრძლივებული დღის პრობლემის შესახებ პარტიისა და მთავრობის, სახალხო განათლების ზემდგომი ორგანოების სადირექტივო და საინსტრუქციო დოკუმენტებით, აღნიშნულ დოკუმენტებზე არაა გაპიროვნებული პასუხისმგებელი პირი და არავის არ თხოვენ პასუხს მის შეუსრულებლობაზე. საყურადღებოა, რომ რიგ სკოლებში დებულებაც არ აღმოჩნდა ადგილზე გახანგრძლივებული სკოლებისა და ჯგუფების მუშაობის შესახებ.

სკოლების დირექტორები, განათლების ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები იშვიათად თუ იხილავენ აღნიშნულ საკითხებს და თუ იხილავენ მთავარ ყურადღებას ამახვილებენ მხოლოდ კვებაზე, რის გამოც მიღმა რჩება ძირითადი საკითხი — აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი. ყურადღება არ ექცევა მიღებული დადგენილების შესრულებას.

**სკოლების სამმართველო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1982 წლის 17 ივნისის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### ზუგდიდის რაიონის სოფლების კახათის, ინგირისა და რუხის გახანგრძლივებული დღის სკოლების მუშაობის გამოცდილების განზოგადების შ ე ს ა ხ ე ბ

განათლების სამინისტროს კოლეგიამ და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. მოწონებულ იქნას ზუგდიდის რაიონის სოფლების კახათის, ინგირისა და რუხის გახანგრძლივებული დღის სკოლების მუშაობის გამოცდილება და აღნიშნულის შესახებ თანდართული ცნობა დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს და შესაბამის პროფკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს ,რომლებმაც უზრუნველყონ დასახელებული სკოლების გამოცდილების ადგილებზე დაყვანა და მის შესაბამისად გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება.

2. სასკოლო ინტერნატების, გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფებისადმი ორგანიზაციული ხელმძღვანელობის სპეციალურმა ჯგუფმა საჭირო დახმარება გაუწიოს რესპუბლიკის გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებს ყოველდღიურ საქმიანობაში.

3.გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძე) გამოაქვეყნოს ეს გადაწყვეტილება და ცნობა დასახელებული გახანგრძლივებული დღის სკოლების მუშაობის გამოცდილების შესახებ.

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე**

**განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე დ. იოსელიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობა

## ზუგდიდის რაიონის სოფლების კახათის, ინგირის მე-2 საშუალო და რუხის გახანგრძლივებული დღის სკოლების მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის № 471 დადგენილებით „სოფლის სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ ზუგდიდის რაიონის სახალხო განათლების ორგანოებმა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად დიდ წარმატებებს მიაღწიეს გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში. ამ მიმართებით აღსანიშნავია ზუგდიდის რაიონის სოფლების კახათის, ინგირის მე-2 საშუალო და რუხის გახანგრძლივებული დღის სკოლების დირექტორების (ამხ. ამხ. ტ. ქორთუა, კ. ეხვაია, ვ. ნაჭყებია) და საბაზო საწარმოთა ხელმძღვანელების კახათის, ინგირისა და რუხის კოლმეურნეობათა გამგეობების (თავმჯდომარეები ამხ. ამხ. ჯ. გუგუჩია, ბ. ქარჩავა, ზ. თოდუა) ყოველდღიური და შემოქმედებითი საქმიანობა, რომლებმაც საბაზო საწარმოდ მიმაგრების შემდეგ, თავიანთ მუშაობას საფუძვლად დაუდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის № 1111 დადგენილება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 18 აგვისტოს № 707 დადგენილება „მოსწავლეთა შრომითი სწავლების გასაუმჯობესებლად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ და საჭირო სამუშაოები ჩაატარეს დასახელებული სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მოსწავლეთა ცხელი კერძებით ორჯერადი კვებით უზრუნველყოფისათვის.

უკანასკნელ წლებში დასახელებულმა კოლმეურნეობებმა სკოლებს აუშენეს ტიპიური სასკოლო, საძინებელი, სასადილო შენობები და სორტული დარბაზები, კეთილმოაწყვეს სპორტული მოედნები, ეზო და კაბინეტ-ლაბორატორიები, საკუთარი სახსრებით შეიძინეს დგამ-ავეჯი, თვალსაჩინო ხელსაწყო იარაღები და ტექნიკური საშუალებები, რისთვისაც კახათის კოლმეურნეობამ დახარჯა 545000 მანეთი, ინგირის კოლმეურნეობამ — 516000, ხოლო რუხისამ — 508000 მანეთი. ინგირის კოლმეურნეობა ამჟამად აშენებს რვაწლიანი სკოლის შენობას 100 მოსწავლისათვის, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 300.000 მანეთს, იგი ექსპლოატაციაში შევა 1982—1983 სასწავლო წლისათვის და გადაკეთდება გახანგრძლივებული დღის სკოლად. ახალი სასწავლო წლისათვის ზუგდიდის რაიონში სოფელ კა-

ხათის მე-2 საშუალო სკოლის ბაზაზე გაიხსნება მეხუთე გახანგრძლივებული სკოლა და აღსაზრდელები უზრუნველყოფილი იქნებიან ორჯერადი უფასო კვებით, რუხის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას გათვალისწინებული აქვს ახალი სასწავლო წლისათვის სკოლის შენობის ფასადის მხატვრულ გაფორმებაზე დახარჯოს 35.000 მანეთი.

აღსანიშნავია და მისაბაძია კახათის, ინგირისა და რუხის კოლმეურნეობების ინიციატივა გახანგრძლივებული დღის სკოლების აღსაზრდელთა უფასო კვებით უზრუნველყოფის საქმეში. კახათის კოლმეურნეობის ხარჯზე 328 აღსაზრდელი უზრუნველყოფილია უფასო ორჯერადი კვებით, რისთვისაც საჭიროა 40.000 მანეთი წელიწადში, ინგირის კოლმეურნეობა 235 ბავშვზე ამ დანიშნულებით ხარჯავს 20.000 მანეთს, ხოლო რუხის კოლმეურნეობა 240 ბავშვზე — 35.000 მანეთს.

აღნიშნულ სკოლებში სანიმუშოდაა მოწყობილი აღსაზრდელთა კვების ორგანიზაცია, კვების ბლოკი მარაგდება მაღალხარისხოვანი პროდუქტებით, შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ სასადილოს საწყობში ინახებოდა 20-22 დასახელების პროდუქტი. გარდა ამისა, აღნიშნული სკოლები აღსაზრდელთა კვებისათვის მაქსიმალურად იყენებენ სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მიღებულ პროდუქტებს. კარგად არის დაცული სანიტარული მდგომარეობა და ორგანიზებულია აღსაზრდელთა თვითმომსახურება, როგორც კვების ობიექტზე, ისე საძინებელ და საკლასო ოთახებში.

უკანასკნელ წლებში ზუგდიდის რაიონის გახანგრძლივებული დღის სკოლებმა დიდი გამოცდილება დააგროვეს სასწავლო-აღმზრდელობითი პროფესიის სრულყოფის საქმეში, დაიხვეწა და მიზანსწრაფული გახდა სამუშაო გეგმები (პერსპექტიული და ყოველდღიური), რომელთა შედგენასა და განხორციელებაში მონაწილეობენ სკოლის ფართო აქტივი, მოსწავლეთა კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები, პედაგოგიური კოლექტივი, მშობელთა აქტივი და საშეფო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ხოლო საერთო ხელმძღვანელობას სწორად წარმართავენ სკოლების დირექციები. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე მეტყველებს ფაქტები იმის შესახებ, რომ უკანასკნელ 3 წელიწადში სამივე სკოლა მეორეწლიანობის გარეშე მუშაობს და ასპროცენტიანი მოსწრებით ამთავრებს სასწავლო წელს; აღმოფხვრილია არასრულწლოვანთა დანაშაული. ამ წარმატებებში საკუთარი წვლილი სკოლის მუშაკებთან ერთად საშეფო ორგანიზაციების ხელმძღვანელებსაც შეაქვთ, ისინი მონაწილეობენ სკოლის პედაგოგიური საბჭოს მუშაობაში, აწყობენ რეიდებს და მორიგეობას საზოგადოების თავშეყრის ადგილებში და შედეგებს ერთობლივად აანალიზებენ.

განსაკუთრებით მაღალ დონეზეა დაყენებული აღსაზრდელთა შრომითი აღზრდა და პროფორიენტაცია. უკანასკნელ წლებში კახათის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგირისა და რუხის საშუალო სკოლების კურსდამთავრებულნი სამუშაოდ რჩებიან მშობლიურ კოლმეურნეობაში.

1979—1980 სასწავლო წელს სოფელ რუხის საშუალო სკოლა დაამთავრა 51 ახალგაზრდამ, მათგან 35 დარჩა კოლმეურნეობაში სამუშაოდ, 11 ჩაირიცხა 77-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში და მისი დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა სოფელს სამუშაოდ სპეციალობის მიხედვით.

კახათის საშუალო სკოლის 118 კურსდამთავრებულიდან (1979-81 წ. წ.) 110 დასაქმებულია მატერიალური დოვლათის შექმნაზე, 8 ახალგაზრდა კოლმეურნეობის გამგეობის მიერ გაგზავნილია სხვადასხვა სპეციალობის მისაღებად, რომელთაც გადიდებულ სტიპენდიას აძლევს თვით კოლმეურნეობა. სოფლის მექანიზატორთა დიდ ნაწილს საშუალო სკოლების კურსდამთავრებულები შეადგენენ.

ნაყოფიერად მუშაობენ ზაფხულის პერიოდში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები, სადაც ორგანიზებულად ხორციელდება დასახული პროგრამა, ხოლო იმის გამო, რომ დასახელებულ კოლმეურნეობებში მაღალ დონეზეა შრომის ორგანიზაცია, კოლმეურნეობები მაქსიმალურად არიან ჩაბმული შრომის ფერხულში. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს (ჩაის კრეფა, მოსავლის აღება და სხვა) აღსაზრდელები მოცდენილი არ არიან მეცადინეობებიდან, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოსწავლეები საკოლმეურნეო სამუშაოებზე დაკავებულნი არიან მხოლოდ მე-3 შრომითი სემესტრის პერიოდში, ე. ი. არდადეგების დროს. კოლმეურნეთა აქტიურ შრომას ხელს ისიც უწყობს, რომ გახანგრძლივებულ დღის სკოლებში ჩარიცხულთა 95%-ს მათი შვილები შეადგენენ.

მშობელთა კომიტეტის ინიციატივით კახათის საშუალო სკოლაში შეიქმნა მეოჯახეობის წრე, სადაც აღსაზრდელები სწავლობენ კერძების მომზადებას, სუფრის გაწყობას, თარგების გამოჭრას, კემსვას, ქსოვას და სხვ.

მაღალ დონეზე დგას აღსაზრდელთა თავისუფალი დროის ორგანიზაცია, რის შედეგადაც დღის მეორე ნახევარი რადიკალურად განსხვავდება დღის პირველი ნახევრის — საგაკვეთილო პერიოდისაგან. გახანგრძლივებული დღე გადაქცეულია პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მოქმედების, მოსწავლეთა თვითმმართველობის, თვითშემოქმედების განვითარების, საზოგადოებრივი აქტივობის, დამოუკიდებლობის და შრომისმოყვარეობის აღზრდის აქტიურ უბნად.

გახანგრძლივებული დღის სკოლების 803 აღსაზრდელთან, გარდა აღმზრდელებისა, შემოქმედებით, საინტერესო მუშაობას ეწევიან სხვადასხვა ორგანიზაციებიდან მოწვეული სპეციალისტები, რომლებიც კვალიფიციურ ხელმძღვანელობას უწევენ სკოლებში მოქმედ წრეებს,

სექციებს (ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ჭადრაკის, ჭიდაობის, მძლეოსნობის) და სტუდიებს (ქორეოგრაფიული, მუსიკალური). სამედიცინო დასკვნის შესაბამისად არც ერთი ბავშვი არ არის დარჩენილი წრეებში, სექციებსა და სტუდიაში ჩარიცხვის გარეშე.

მშობელთა კომიტეტის ინიციატივითა და კოლმეურნეობის გამგეობის აქტიური დახმარებით სოფელ კახათის საშუალო სკოლასთან გახსნილია სამუსიკო შვიდწლედი, ქორეოგრაფიული და მუსიკალური სტუდიები (ხელმძღვანელები: ე. ნადარეიშვილი, ლ. ჩიქობავა), სადაც გაერთიანებულია 200-მდე აღსაზრდელი. სტუდიებისთვის კოლმეურნეობის მიერ შეძენილ იქნა მუსიკალური საკრავები (8 პიანინო, ხალხურ საკრავთა ორკესტრის ინსტრუმენტების კომპლექტი), საცეკვაო კოსტიუმები, მოეწყო სარკეებიანი საცეკვაო დარბაზი, რისთვისაც დაიხარჯა 88.000 მანეთი. სკოლის თვითმოქმედმა კოლექტივმა ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია მე-9 და მე-10 რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე, რისთვისაც როგორც კოლექტივი, ისე მისი 54 მონაწილე დაჯილდოვდა ოქროს მედლით. ქორეოგრაფიული სტუდიის ხელმძღვანელს კოლმეურნეობა უხდის გასამრჯელოს. ამავე დროს კოლმეურნეობის სპორტსმენები და ინსპექტორ-მეთოდისტები სისტემატურ დახმარებას უწევენ სკოლის ფიზკულტურულ კოლექტივს მრავალფეროვან შემოქმედებით მუშაობაში. გასულ წელს მომზადდა 26 თანრიგოსანი და 136 მოსწავლე დაჯილდოვდა მშთ საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის I—II და III საფეხურის ოქროსა და ვერცხლის სამკერდე ნიშნებით, ანალოგიურ მუშაობას ეწევიან ინგირისა და რუხის სკოლების პედაგოგიური კოლექტივები, წრეების, სექციებისა და სტუდიების ხელმძღვანელები. რუხის სკოლის მოსწავლეთა თვითმოქმედ კოლექტივს შეფმა კოლმეურნეობამ საკუთარი სახსრებით ექსკურსია მოუწყო გმირ ქალაქებში; ნოვოროსიისკში, ქერჩში, სევასტოპოლში, ვოლგოგრადში და საზღვარგარეთ — ბულგარეთსა და ჩეხოსლოვაკიაში.

მაღალი პასუხისმგებლობით ხელმძღვანელობენ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს სკოლების დირექტორები, დირექტორების მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობით, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში, სკოლის საქმიანობის ყველა უბანზე მჭიდრო კავშირია აღმზრდელებს, მასწავლებლებსა და კლასის ხელმძღვანელებს შორის, იგრძნობა ერთიანი სასწავლო-აღმზრდელობითი რეჟიმის რაციონალური ორგანიზაცია, აღსაზრდელთა იდეურ-პოლიტიკური, სამხედროპატრიოტული, ინტერნაციონალური აღზრდა, რომელიც შეიცავს შინაარსითა და ფორმით მრავალფეროვანი კლასგარეშე მუშაობის სახეებს და მიღწეულია აღმზრდელთა და მასწავლებელთა შრომის გონივრული შერწყმის გზით, წინა პლანზეა წარმოწეული პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტივიზაცია, მოსწავლეთა თვითმმართველო-

ბის ორგანოების მიერ უფროსკლასელთა ჩაბმა უმცროსების შეფობაში.

დღის მეორე ნახევარში აღსაზრდელთა ცოცხალ, შემოქმედებით მუშაობას სტიმულს აძლევს ის, რომ საშინაო დავალებების შესრულების ბედი თვით გაკვეთილზევე წყდება და აღსაზრდელებს მეტი თავისუფალი დრო რჩებათ დამოუკიდებელი შემოქმედებითი საქმიანობისათვის, სკოლები მუშაობენ სტაბილური დღის რეჟიმით, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ აღსაზრდელები ხვდებიან სხვა უფრო განსაკუთრებულ გარემოში, სცილდებიან საკლასო ოთახებს, იცვლიან ტანისამოსს, სადილობენ, იძინებენ (ვისაც სჭირდება) კეთილმოწყობილ საძინებელ ოთახებში, სადაც ყველა პირობაა შექმნილი აღსაზრდელთა ცხოვრებისა და დასვენებისათვის, მათ განკარგულებაშია სათამაშო ოთახები, სპორტული დარბაზები, საგნობრივი კაბინეტები, სახელოსნოები და ბიბლიოთეკა.

სრულყოფილად ხორციელდება პარტიისა და მთავრობის დადგენილებები მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურების თაობაზე. წელიწადში ერთხელ ხდება მოსწავლეთა ღრმა სამედიცინო შემოწმება. სისტემატურად ზოგადდება გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობის მოწინავე გამოცდილება. მასწავლებლები გულდასმით ეცნობიან, იხილავენ და სკოლებამდე დაყავთ პარტიისა და მთავრობის დადგენილებები, საკავშირო და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებები, ბრძანებები, რეკომენდაციები და მოწინავე კოლექტივების მუშაობის დადებითი მაგალითები გახანგრძლივებული დღის პრობლემების შესახებ, კონტროლს უწევენ მათ განხორციელებას, ეწყობა ღია მეცადინეობები გახანგრძლივებული დღის ორგანიზებაზე, პერიოდულად ისმენენ შეფი ორგანიზაციები რწმუნებულთა და პარტიულ კრებებზე აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს, მშობელთა კომიტეტების ანგარიშებს. ყველგან დაცულია სანიტარული წესრიგი.

აღნიშნული წარმატებები თავისთავად არ მოსულა, ისინი განაპირობა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სახალხო განათლების ხელმძღვანელი ორგანოების ერთობლივმა დაუღალავმა შრომამ და პირველ რიგში იმან, რომ სწორად არის გადაწყვეტილი კადრებთან მუშაობის საკითხი, გახანგრძლივებული დღის სკოლების ხელმძღვანელი და აღმზრდელობითი დარგის მუშაკები შერჩეულია სათანადო ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით. სკოლების ხელმძღვანელები კარგად უხამებენ ძველ და ახალ კადრებთან მუშაობას და აღებული აქვთ კურსი კოლექტივის გაახალგაზრდავებისაკენ. ამასთან, წარმატებებს ხელს უწყობს გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და მათი მუშაობისადმი ხელმძღვანელი ორგანოების ყოველდღიური ყურადღება, სისტემატური

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტროლი და დახმარება მათდამი, რაზედაც მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ზუგდიდის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სახალხო განათლების ხელმძღვანელი ორგანოები სისტემატურად იხილავენ აღნიშნულ საკთხებს რაიკომის ბიუროზე, აღმასკომისა და განათლების საბჭოს სხდომებზე და საჭირო ყურადღებას უთმობენ მიღებული დადგენილებების შესრულებას.

## სკოლების სამმართველო

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება

## ქ. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხოური ენების მასწავლებელთა აღრიცხვისა და დანიშვნის მდგომარეობის შესახებ

აღინიშნოს, რომ ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ და შესაბამისმა რაიონულმა განყოფილებებმა ერთგვარად გააუმჯობესეს უცხოური ენების მასწვლებელთა აღრიცხვისა და დანიშვნის საქმე, რამაც საგრძნობლად გაზარდა უცხოური ენების მასწავლებელთა კვირეული საშუალო დატვირთვა. თუ 1978—1979 სასწავლო წლისათვის იგი 4 საათს არ აღემატებოდა, მიმდინარე სასწავლო წელს 14 საათს შეადგენს.

ამასთან, ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად სრულდება „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალი სკოლების მასწავლებელთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და დათხოვნის შესახებ ინსტრუქციისა“ და 1979 წლის 4 ოქტომბრის კოლეგიის გადაწყვეტილების „ქ. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა კადრებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ“ მოთხოვნები, რის გამოც დედაქალაქის სკოლებში უცხოური ენების მასწავლებელთა აღრიცხვისა და დანიშვნის საქმეში შეინიშნება არსებითი ნაკლოვანებები.

კვლავ ადგილი აქვს მცირე საათებზე, ან დანიშვნის ისეთ შემთხვევებს, როდესაც ადგილზე მომუშავე მასწავლებელი დაუტვირთავია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხზე. ასეთ ფაქტებს ადგილი აქვს გლდანის რაიონის 39-ე, 45-ე, 136-ე, 167-ე (ყოფილი გამგე გ. თავართქილაძე), ორჯონიკიძის რაიონის 55-ე, 56-ე, 126-ე, 128-ე, 150-ე, 151-ე (გამგე ლ. მნათობიშვილი), პირველი მაისის რაიონის 27-ე (გამგე რ. გახელაძე), 26 კომისრის რაიონის 163-ე (გაგმე ზ. ბუაძე), კიროვის რაიონის 153-ე (გამგე ე. გურსკაია), ოქტომბრის რაიონის 29-ე (გამგე ს. მელაძე) სკოლებში.

26 კომისრის რაიონის ახლადგახსნილ 163-ე საშუალო სკოლაში ქართულ სექტორზე ინგლისური ენის არსებული 17 საათი განაწილებულია სამ მასწავლებელზე (გ. ხოხობაშვილს — 7 სთ; ი. ნიკოლაიშვილს — 7 სთ; ვ. ლოლაძეს — 3 სთ). ასევე სამი მასწავლებელი მუშაობს რუსული სექტორის ინგლისური ენის 18 საათზე (რ. პაკინა — 8 სთ.; ვ. ლოლაძე — 6 სთ.; ბ. შკიდსკაია — 4 სთ.; ეს უკანასკნელი ამავე დროს გახანგრძლივებული დღის ჯგუფის აღმზრდელიცაა). აქვე აუცილებლობის გარეშე (რადგან ყველა დანიშნული მასწავლებელი დაუტვირთავია) ინგლისური ენის შემცვლელ მასწავლებლად დანიშნუ-

ლია დ. ძამაშვილი-გოგია, რომელიც შრომითი მოწყობის აღრიცხვაზე არ იმყოფება. ამასთანავე, ყველა ზემოჩამოთვლილ მასწავლებელს აქვს ჩვეულებრივი დიპლომი, ხოლო უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების დიპლომის მქონე აღრიცხვაზე მყოფი სპეციალისტები გ. გოგიტაური და ი. ჩიგოშვილი დღემდე დაუსაქმებელნი არიან. ამავე სკოლაში ფრანგული ენის შემსწავლელ ჯგუფში რუსულ სექტორზე 4 საათზე დანიშნულია ჩვეულებრივი დიპლომის მქონე ტ. ფილაზაპოვიჩი, ხოლო ქართული სექტორის 3 საათზე ლ. მჭედლიშვილი. წარჩინების დიპლომის მქონე ბაგიროვი, რომელიც აღრიცხვაზეა, კვლავ რიგში დგას. აქვე გერმანული ენის მასწავლებლად ქართულ სექტორზე (18 სთ.) დანიშნულია ჩვეულებრივი დიპლომის მქონე, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის კურსდამთავრებული ლ. მაღრაძე, ხოლო რუსულ სექტორზე 10 საათზე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებული კურსდამთავრებული მ. ჩალაძე.

როგორც შემოწმებითა და წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, საერთოდ, საჭირო ყურადღება არ ექცევა უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების დიპლომის მქონე სპეციალისტების შრომითი მოწყობის საქმეს. დღეისათვის ქ. თბილისში აღრიცხვაზე აყვანილთაგან დაუსაქმებელია ინგლისური ენის 16, გერმანული ენის 4, ფრანგული ენის 7 კურსდამთავრებული, მაშინ, როდესაც შემცვლელ მასწავლებლად გასული წლის მანძილზე დანიშნულია ჩვეულებრივი დიპლომის მქონე 17 მასწავლებელი (ამასთან ზოგიერთს დამთავრებული აქვს საღამოს განყოფილება — მ. სულაძე (მე-10 საშუალო სკოლა), მ. კუპატაძე (მე-15 საშუალო სკოლა), ჯ. თალაკვაძე (164-ე საშუალო სკოლა), რ. მაჭარაშვილი (135-ე საშუალო სკოლა), ხოლო მასწავლებელი რ. ფავლენიშვილი (მე-10 საშუალო სკოლა) განაწილებული იყო კასპის რაიონში. ამავე პერიოდში 12 მასწავლებელი დანიშნულ იქნა უცხოური ენების შემსწავლელი წრის ხელმძღვანელად, მათ შორის 7 მასწავლებელი აღრიცხვაზე არ იყო აყვანილი (ორჯონიკიძის რაიონის 64-ე სკოლაში წრის ხელმძღვანელად — ლ. შარაშენიძე, 62-ე, 150-ე, 170-ე საშუალო სკოლებში შემცვლელ მასწავლებლად — ნ. ღარიბაშვილი, ნ. მაჭავარიანი, დ. რუხაძე-არობელიძე, 26 კომისრის რაიონის 163-ე სკოლაში შემცვლელ მასწავლებლად დ. ძამაშვილი-გოგია,, ლენინის რაიონის მე-10 სკოლაში — მასწავლებლად მ. სულაძე, გლდანის რაიონის 45-ე საშუალო სკოლაში — შემცვლელ მასწავლებლად ი. ბერუაშვილი).

გლდანის რაიონის 45-ე, ორჯონიკიძის რაიონის 62-ე, 64-ე, 26 კომისრის რაიონის 84-ე, 163-ე სკოლებში, სადაც უცხოური ენების ორი და მეტი დაუტვირთავი პედაგოგი მუშაობს, აუცილებლობის გარეშე დანიშნულ იქნენ შემცვლელი მასწავლებლები.

კვლავაც შეიმჩნევა აღრიცხვის რიგის ყოველგვარ საფუძველს მოკ-

ლებული დარღვევებისა და გაუმართლებელი დანიშვნის ფაქტები. ხშირად სკოლის დირექტორების შუამდგომლობას აკლია სათანადო დასაბუთება. ასე, მაგალითად, ორჯონიკიძის რაიონის 128-ე სკოლაში 1981 წლის 6 იანვარს შემცვლელ მასწავლებლად, ხოლო იმავე წლის 26 აგვისტოდან ინგლისური ენის მასწავლებლად 6 საათზე და წრის ხელმძღვანელად დაინიშნა გ. სტეფანოვა, მაშინ, როდესაც ძირითადი მასწავლებლები ც. ლითანიშვილი და ა. შიკალოვა დაუტვირთავნი არიან (ერთს აქვს 6 საათი და წრე, მეორეს კი 7 საათი). ანალოგიურ ფაქტებს ადგილი აქვს 26 კომისრის რაიონის 92-ე, 163-ე (ჟ. მარუკიანი, ი. ნიკოლაიშვილი), ოქტომბრის რაიონის 29-ე (ნ. ღამბაშიძე), ლენინის რაიონის მე-10 (მ. სულაძე) საშუალო სკოლებში. გლდანის რაიონის 21-ე საშუალო სკოლის დირექტორის ამხ. აპრეევის დაუსაბუთებელი შუამდგომლობის საფუძველზე 1981 წლის 20 ივნისს ი. ქებაძე დანიშნულ იქნა ფრანგული ენის მასწავლებლად 9 საათზე, ხოლო იმავე წლის 15 სექტემბერს იგი გათავისუფლებულ იქნა სამუშაოდან, რადგან ვერ შესძლო რუსულ სექტორზე სწავლება. ასევე დაუსაბუთებელი შუამდგომლობის, მხოლოდ მიმართვის საფუძველზე 26 კომისრის რაიონის 86-ე საშუალო სკოლაში ინგლისური ენის შემსწავლელი წრის ხელმძღვანელად დანიშნულ იქნა ოქტომბრის რაიონში აღრიცხვაზე მყოფი და იმავე რაიონში მცხოვრები ზ. კუსრაევა, მაშინ, როდესაც თვით 26 კომისრის რაიონში აღრიცხვაზე იმყოფება აღნიშნული საგნის 51 დროებით უმუშევარი მასწავლებელი, მათ შორის 2 წარჩინების დიპლომის მქონე და სხვ.

კოლეგიას კანონსაწინააღმდეგოდ მიაჩნია ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს მიერ 1981 წლის 22 ივლისს დაშვებული ბრძანება № 13 „ქ. თბილისის სკოლებში უცხოური ენების მასწავლებლების თანაფარდობის მიღწევისა და მასწავლებელთა საშუალო კვირეული დატვირთვის მოწესრიგების შესახებ“, რომლის § 2 ითვალისწინებს „მასწავლებელთა დანიშვნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში მოცემული საგნის მომუშავე მასწავლებელთა საშუალო დატვირთვა აღემატება 12 საათს“.

კოლეგია აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხოური ენების მასწავლებელთა აღრიცხვისა და დანიშვნის საქმეში არსებული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ და რაიონის განათლების განყოფილებებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალი სკოლების მასწავლებელთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და დათხოვნის შესახებ“ ინსტრუქციისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1979 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილების „ქ. თბი-

ლისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა კადრებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ“ შესაბამისად, კვლავ ადგილი აქვს უცხოური ენების მასწავლებელთა დანიშვნის საქმეში სუბიექტივიზმისა და თვითნებობის გამოვლინების ფაქტებს, რაც დროებით უმუშევარ ამ საგნის მასწავლებლებისა და სკოლებში მცირე საათებზე მომუშავე პედაგოგების უკმაყოფილებას იწვევს და სკოლაში კონფლექტურ სიტუაციას ქმნის, ხელს უშლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნორმალურად წარმართვის საქმეს.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების სამმართველოს ცნობა და აღნიშნული გადაწყვეტილება ქ. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხოური ენების მასწავლებლეთა აღრიცხვისა და დანიშვნის მდგომარეობის შესახებ გადაეგზავნოს ქ. თბილილისის სახალხო განათლების სამმართველოს.

2. ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ (ამხ. ლ. ჩიქვანაია):

2. 1. საბჭოს სხდომაზე განიხილოს აღნიშნული მასალები, დასახოს და განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი უცხოური ენების მასწავლებელთა აღრიცხვისა და დანიშვნის საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. მიღებული ზომების შესახებ აცნობოს განათლების სამინისტროს 1982 წლის 15 სექტემბრამდე.

2. 2. გააძლიეროს რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, მკვეთრად აამაღლოს მათი პირადი პასუხისმგებლობა უცხოური ენების მასწავლებელთა აღრიცხვისა და დანიშვნის საქმეში.

2. 3. გადასინჯოს და კანონის შესაბამისობაში მოიყვანოს 1981 წლის 22 ივნისის № 13 ბრძანების § 2.

3. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) დააწესოს კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე, შედეგების შესახებ მოახსენოს კოლეგიას 1983 წლის მეორე კვარტალში.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი ო. ქინქლაძე**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება

### ხაზვაში მე-4 რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის შედეგებისა და მე-5 რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის ჩატარების შ ე ს ა ხ ე ბ

1982 წლის 25 მარტს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში ჩატარდა ხაზვაში მე-4 რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსი დევიზით: „მოწინავეთა გამოცდილება ყველას!“ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო რესპუბლიკის 25 ქალაქისა და რაიონის სკოლების ხაზვის მასწავლებელთა მუშაობის ამსახველი სხვადასხვა სახის მასალები.

გამოფენა-კონკურსმა მთლიანად გაამართლა მისი დევიზი, მოწინავეთა გამოცდილებას ფართოდ გაეცნო ჩვენი რესპუბლიკის სკოლების ხაზვის მასწავლებელთა დიდი ჯგუფი.

გამოფენა-კონკურსის პარალელურად ჩატარდა ორდღიანი თათბირ-სემინარი, სადაც მოწინავე პედაგოგების მიერ წაკითხულ იქნა მოხსენებები პროგრამული საკითხების აქტუალურ თემებზე.

გამოფენა-კონკურსის წარმატება განაპირობა რიგი განათლების განყოფილების, კერძოდ, ქ. თბილისის კალინინის, პირველი მაისის და ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფლებების დროულმა გამოხმაურებამ ამ ღონისძიებისადმი, მაგრამ იგივე არ ითქმის ქ. თბილისის ორჯონიკიძის, 26 კომისრის, კიროვის, ლენინის, ხობის, ჩხოროწყუს, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ცაგერის, წყალტუბოს, ქუთაისის, სამტრედიის, ონის, ამბროლაურის, დუშეთის, თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, თეთრიწყაროს, ცხინვალის, ლენინგორის, ხაშურის, გორის, მცხეთის, რუსთავის, სოხუმის, გულრიფშისა და ზესტაფონის რაიონებზე, რომელთა მასწავლებლებმა არამც თუ არ მიიღეს მონაწილეობა გამოფენა-კონკურსში, არამედ მათი წარმომადგენლებიც არ ესწრებოდნენ ორდღიან თათბირ-სემინარს.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს ხაზვაში მე-4 რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი კონკურსში მონაწილე პედაგოგების დაჯილდოების შესახებ (დანართი № 1).
2. 1984 წლის 24 მარტს ჩატარდეს ხაზვაში მე-5 რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსი დევიზით: „მოწინავეთა გამოცდილება ყველას!“ გამოფენა-კონკურსის შედეგების შეჯამება და თათბირ-სემინარი მოეწყოს 24—25 მარტს ქ. თბილისში, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში.
3. გამოფენა-კონკურსის მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის და ჟიურის შემადგენლობა (დანართი № 2).

4. დამტკიცდეს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ხაზვის კაბინეტის მიერ წარმოდგენილი დებულება ხაზვაში მე-5 რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის ჩატარების შესახებ (დანართი № 3).
5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა ფართოდ ჩააბან მასწავლებლები გამოფენა-კონკურსში.
6. გაზეთმა „სახალხო განათლებამ" გამოაქვეყნოს მასალა გამოფენა-კონკურსის ჩატარების შესახებ.
7. ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტს (ამხ. მ. დ. დარჩია).
8. აღნიშნული გადაწყვეტილება დაიბეჭდოს განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი ო. ქინქლაძე**

**დანართი № 1**

**ხაზვაში მე-4 რესპუბლიკურ გამოფენა-კონკურსზე საუკეთესო ნამუშევრების წარმოდგენისათვის განათლების სამინისტროს I-ლი ხარისხის დიპლომით დასაჯილდოებელ მასწავლებელთა**

**ს ი ა:**

1. ბარამიძე იზაბელა ალექსის ასული — თბილისის 1-ლი საშუალო სკოლა
2. გაბუნია ლიანა შალვას ასული — თბილისის 22-ე საშუალო სკოლა
3. კავკასიძე ანზორ ილიას ძე — თბილისის 142-ე საშუალო სკოლა
4. მასხულია მურმან გიორგის ძე — თბილისის 42-ე საშუალო სკოლა
5. მაღალაშვილი ცისანა ზაქარიას ასული — თბილისის 1-ლი ექსპერიმენტული სკოლა
6. ქოროღლიშვილი მაყვალა პავლეს ასული — ლაგოდეხის საშუალო სკოლა
7. ხოფერია გრიგოლ ნიკოს ძე — ცხაკაიას რაიონის სოფელ მეორე ნოსირის საშუალო სკოლა
8. ცაგურია ვენერა ივანეს ასული — ცხაკაიას 1-ლი და მე-3 საშუალო სკოლები
9. ფიჩხაძე დავით იოსების ძე — ქუთაისის მე-10 და 28-ე საშუალო სკოლები

**ხაზვის მასწავლებელთა რესპუბლიკურ გამოფენებზე საუკეთესო დიდაქტიკური მასალების წარმოდგენისა და ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე სწავლებაში მიღწეული წარმატებებისათვის „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდნენ ხაზვის მასწავლებლები:**

1. სტაროსტინი მიხეილ კონსტანტინეს ძე — გაგრის 1-ლი საშუალო სკოლა
2. ახალაია ლუდუკი გერმანეს ძე — ზუგდიდის მე-14 საშუალო სკოლა

**მოსწავლეებთან ნაყოფიერი მუშაობისა და გამოფენა-კონკურსზე მათი მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით დასაჯილდოებელ მასწავლებელთა ს ი ა:**

1. კოსიანი აკოფ მოვსესის ძე — ახალციხის რაიონის სოფელ ვალეს საშუალო სკოლა
2. კახიძე რეა ალექსანდრეს ასული — თბილისის 155-ე საშუალო სკოლა
3. გულისაშვილი მანველიტა შალვას ასული — თბილისის 166-ე საშუალო სკოლა
4. ერისთავი ნუნუ ვასილის ასული — თბილისის 147-ე საშუალო სკოლა
5. ზიბზიბაძე სერგო ვლადიმერის ძე — მცხეთის რაიონის სოფელ დიღმის საშუალო სკოლა

დანართი № 2

## ხაზვაში მე-5 რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა

1. დარჩია მამია დომენტის ძე — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი (თავმჯდომარე)
2. ტატიშვილი თამაზ გრიგოლის ძე — განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მთავარი ინსპექტორი (მოადგილე)
3. ჩახავა იზოლდა ვახტანგის ასული — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ხაზვის სასწავლო-მეთოდური კაბინეტის გამგე (მდივანი)
4. გვათუა გიორგი ვლადიმერის ძე — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში
5. გიორგობიანი გელა გიორგის ძე — განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი
6. გულისაშვილი მიხეილ მიხეილის ძე — თბილისის 26-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი
7. ეპიტაშვილი ალფერდ დავითის ძე — თბილისის ა. ს. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ხაზვისა და სახვითი ხელოვნების უფროსი მასწავლებელი
8. ლომაძე იური იაკინთეს ძე — თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი
9. ჭანტურია ჯემალ აკაკის ძე — თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ხაზვის კაბინეტის გამგე

## ხაზვაში მე-5 რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის ჟიურის შემადგენლობა

1. ეპიტაშვილი ალფერდ დავითის ძე — თბილისის ა. ს. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სახვითი ხელოვნებისა და ხაზვის კათედრის უფროსი მასწავლებელი (ჟიურის თავმჯდომარე)
2. ლომაძე იური იაკინთეს ძე — თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი
3. ჩახავა იზოლდა ვახტანგის ასული — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ხაზვის სასწავლო-მეთოდური კაბინეტის გამგე
4. მაჭავარიანი დიმიტრი ილიას ძე — ზ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხაზვის კაბინეტის გამგე
5. ჭანტურია ჯემალ აკაკის ძე — თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ხაზვის კაბინეტის გამგე
6. ბარამიძე იზაბელა ალექსის ასული — თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

დანართი № 3

# დებულება

## ხაზვაში მე-5 რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის ჩატარების შესახებ

### გამოფენა-კონკურსის ორგანიზატორი, მონაწილენი და მისი ჩატარების მიზანი

ხაზვაში მე-5 რესპუბლიკურ გამოფენა-კონკურსს ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ბაზაზე.

გამოფენა-კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევა ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, აგრეთვე მომუშავე ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლების ხაზვის მასწავლებლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ნორჩ მხაზველთა წრის ხელმძღვანელებს.

გამოფენა-კონკურსის მიზანია მოწინავე გამოცდილების გაცნობა და ურთიერთგაზიარება.

### კონკურსის პირობები

გამოფენა-კონკურსზე წარმოდგენილი უნდა იქნას:

1. თვითნაკეთი თვალსაჩინოებანი ტაბულების, მოდელების, სადემონსტრაციო ნახაზებისა და მოცემულობათა ბარათების სახით.
2. ხაზვის პოპულარიზაციის მიზნით გამოშვებული სასკოლო კედლის გაზეთი
3. ღია გაკვეთილის, მეთოდური გაერთიანების და გაკვეთილების (გეგმა პროექტი) გეგმის ნიმუში
4. საკონტროლო (სავალდებულო გრაფიკული) ნამუშევრები კლასების მიხედვით (თითო კლასიდან არა უმეტეს ორისა)
5. სამუშაო რვეულები, რომლებშიც შეტანილი იქნება სასწავლო წლის მანძილზე შესრულებული ყველა საკლასო სამუშაო და მათ შორის ნაწილი საშინაო დავალებისა, რაც თან უნდა ახლდეს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ საგამოფენო მასალას.

№ 11 ფორმატზე შესრულებული სკონტროლო ნამუშევრები და ხაზვის წრის მუშაობის ამსახველი მასალები ჩაკრული უნდა იქნას ცალ-ცალკე ალბომებში კლასების მიხედვით.

გამოფენა-კონკურსის მონაწილე ამა თუ იმ სკოლის მასწავლებელს შეუძლია წარმოადგინოს არა უმეტეს 4 მოსწავლის ნამუშევარი.

გამოფენა-კონკურსზე წარმოდგენილი ყველა სახის ნამუშევარზე გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული რაიონი (ქალაქი), სკოლა, გვარი, სახელი, მამის სახელი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოდგენილი მასალა კონკურსში მონაწილეობის უფლებას დაკარგავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გამოფენა-კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებულთა დაჯილდოვება

გამოფენა-კონკურსზე წარმოდგენილ მასალებს განიხილავს და შეაფასებს ჟიური იმის მიხედვით, თუ რამდენად მეთოდურად სრულყოფილია და სწავლებაში ეფექტის მომტანია წარმოდგენილი მასალები.

მოსწავლეებთან ნაყოფიერი მუშაობის, გამოფენა-კონკურსზე წარმოდგენილი საუკეთესო მეთოდური ხასიათის ნაშრომისა და დიდაქტიკური მასალების წარმოდგენისათვის I—II ადგილზე გასულნი დაჯილდოვდებიან განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით (6-8 მასწავლებელი), ორი მასწავლებელი წარდგენილი იქნება „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშანზე, ხოლო III—IV ადგილზე გასულები დაჯილდოვდებიან განათლების სამინისტროს დიპლომით (10—15 მასწავლებელი).

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 30 ივნისის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საზოგადოებრივი დისციპლინების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომი სრულყოფის შ ე ს ა ხ ე ბ

კოლეგია აღნიშნავს, რომ სახალხო განათლების ორგანოები გარკვეულ მუშაობას ეწევიან პედაგოგიური კადრების გადამზადების სისტემის სრულყოფის, კერძოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საზოგადოებრივი დისციპლინების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების თაობაზე სკკპ და საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობების მითითებათა რეალიზაციისათვის.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში საზოგადოებრივი დისციპლინების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მწყობრი სისტემა დამკვიდრდა.

შესამჩნევად გაუმჯობესდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ჩატარების ორგანიზაცია, უფრო მეტად სრულყოფილი გახდა მისი ფორმები, მეთოდები, მნიშვნელოვნად გაიზარდა რიცხვი იმ პედაგოგებისა, რომლებმაც კვალიფიკაცია მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ და ზონალურ ინსტიტუტებში აიმაღლეს.

კვალიფიკაციის ამაღლებაში დიდი ადგილი უკავია რაიონულ (საქალაქო) მეთოდგაერთიანებებს, რომელთა რაოდენობა რესპუბლიკაში 80-ია.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრალური და ზონალური ინსტიტუტები რაიონებსა და ქალაქებში ატარებენ მეთოდურ სემინარებს, რომლებიც, მასწავლებლებისადმი მეთოდური დახმარების გაწევის გარდა, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გამოვლენა-განზოგადებისა და პროპაგანდის კარგ საშუალებას წარმოადგენს.

მეთოდგაერთიანებათა მუშაობის პრაქტიკაში ფართოდ დაინერგა ღია გაკვეთილების ჩატარება. მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გაზიარების მიზნით პრაქტიკაში დამკვიდრდა პედაგოგთა მიერ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში დიდი ყურადღება ექცევა სასწავლო-მეთოდური კაბინეტების მიერ ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციების ჩატარებას.

მასწავლებელთა დახელოვნების საქმეში ფართოდ გამოიყენება „პედაგოგიური კითხვები", რომლებიც პერიოდულად ტარდება და ხელს უწყობს მასწავლებელთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას. ამ მიმართებით გარკვეულ როლს ასრულებს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის კათედრების მიერ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების ჩატარება, რომლებშიც კათედრების წევრებ-

თან ერთად მონაწილეობენ სასწავლო-მეთოდური კაბინეტების მუშაკე-
ბიც. კონფერენციებზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფართო ხა-
სიათის პრობლემურ საკითხებს.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა თვითგანათლებამ. ამ გზით ბევრი მასწავლებელი სრულყოფს თავის ცოდნას, უნარსა და პედაგოგიურ ოსტატობას, არის პედგოგიური მეცნიერებისა დ პრაქტიკის უკანასკნელ მიღწევათა საქმის კურსში.

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და დახელოვნების საქმეში სასწავლო-მეთოდური კაბინეტების ხელმძღვანელობით ხდება მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა და განზოგადება.

მასწავლებელთა პროფესიული დაოსტატება უნარიანად ერწყმის მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას. ამ მიმართებით ფართოდ გამოიყენება მეცნიერული კომუნიზმის სკოლები, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დამოუკიდებლად შესწავლა, ტარდება ლექციები და თეორიული კონფერენციები მარქსისტულ-ლენინური თეორიის აქტუალურ საკითხებზე.

მასწავლებლები, მეცნიერული კომუნიზმის სკოლების მსმენელები გააზრებულად მუშაობენ პირველწყაროებზე და დამხმარე ლიტერატურაზე, ამზადებენ რეფერატებს. ამ სახის მუშაობაში აქტიურად გამოიყენება განმავითარებელი სწავლებისა და პრაქტიკული დავალებების მეთოდები.

ჩატარებული გარკვეული მუშაობის მიუხედავად, საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების არსებული სისტემის მუშაობაში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ნაკლოვანებები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ მასწავლებელთა დახელოვნებაზე.

რესპუბლიკის რამდენიმე ქალაქისა და რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების მასწავლებელთა მუშაობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მასწავლებელთა გარკვეულმა ნაწილმა არ იცის, როგორ ასწავლოს საგანი, კმაყოფილდება სახელმძღვანელოში მოცემული თემების შინაარსის გადმოცემით, არ შეუძლია ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების შედარება-განზოგადება, თანადროულობასთან, რესუბლიკის, რაიონის, სკოლის ამოცანებთან დაკავშირება, იდეოლოგიური მხარის გამოყოფა, სწორი დასკვნების გამოტანა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებათა საფუძველზე. ისინი, ცოდნისა და მეთოდური გამოცდილების დაბალი დონის გამო პროგრამის ძირითადი თემების შესწავლასთან დაკავშირებით ვერ იყენებენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა, აგრეთვე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის შრომებს, პარტიის სახელმძღვანელო დოკუმენტებს, არ იცნობენ ამა თუ იმ ეპოქის ამსახველ მხატვრულ

ლიტერატურას. მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი სუსტად ერკვევა საერთაშორისო საკითხებში.

აღნიშნული სპეციალობის მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი არ ასრულებს წინასაკურსო და კურსებისშემდგომ დავალებებს, ხოლო მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი არ ზრუნავს ამ საქმეში რაიონული (საქალქო) მეთოდკაბინეტებისა და სკოლის დირექტორების პასუხისმგებლობის ამაღლებაზე.

რესპუბლიკის მასწავლებელთა უმრავლესობას არ შეუძლია სასწავლო-ტექნიკური აპარატურის გამოყენება, არ ზრუნავს სასწავლო კაბინეტის მოწყობა-გამოყენებისათვის.

სკოლების დირექტორებისა და მათი მოადგილეების ერთი ნაწილი სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევს ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების მასწავლებელთა მუშაობას.

ძირეულ გაუმჯობესებას საჭიროებს რაიონული (საქალაქო) მეთოდკაბინეტების მუშაობა. მოგვარებული არ არის მეთოდისტების შერჩევისა და დანიშვნის საქმე. დღეისათვის 90 მეთოდკაბინეტს აღნიშნული სპეციალობის მხოლოდ 37 მეთოდისტი ყავს. არც თუ ისე იშვიათად, რაიონებსა და ქალაქებში მეთოდისტებს ადგილობრივი განათლების განყოფილებები თვითნებურად, მასწავლებელთა ცენტრალურ ინსტიტუტთან შეთანხმების გარეშე ნიშნავენ. არის შემთხვევები, როცა მეთოდისტებად ინიშნებიან არასაკმარისი სტაჟისა და გამოცდილების მქონე მუშაკები.

მასწავლებელთა თვითგანათლებისათვის ადრე გამოცემული პროგრამები მოძველდა და ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ხოლო ახალი პროგრამების გამოცემისათვის დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტს არ აქვს მიღებული საჭირო ზომები.

რესპუბლიკაში იგრძნობა საზოგადოებრივ დისციპლინებში მეთოდური ლიტერატურის უკმარისობა, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" ყოველკვარტალური დამატება „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში" არასაკმარისად აშუქებს ამ დისციპლინების სწავლების მეთოდიკის საკითხებს.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია):

— გააანალიზოს საზოგადოებრივი დისციპლინების მასწავლებელთა კადრების პროფესიული ცოდნის, იდეურ-პოლიტიკური მომზადებისა და პედაგოგიური ოსტატობის დონის ამაღლების ორგანიზაციის არსებული პრაქტიკა, დასახოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებები კოლეგიის ამ გადაწყვეტილებაში აღნიშნული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩაატაროს საჭირო მუშაობა საზოგადოებრივი ციკლის საგნების მასწავლებელთა ცოდნის დონის გასაღრმავებლად, განსაკუთრებით, მოსწავლეთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი ლენინური მეგობრობის უდიდესი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის, გეორგიევსკის ტრაქტატით საქართველოს რუსეთთან შეერთების, სკკპ საშინაო და საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებების საკითხებზე.

— მიაღწიოს საზოგადოებრივი დისციპლინების მასწავლებელთა მოწინავე გამოცდილების ანალიზის, განზოგადებისა და შემდგომი ფართო დანერგვისათვის წარმოებული მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებასა და სრულყოფას, ფართოდ გამოიყენოს მაღალკვალიფიციური მეთოდური დახმარების პრაქტიკა ადგილებზე გასვლით, განსაკუთრებით იმ მასწავლებელთათვის, რომლებიც მუშაობენ რესპუბლიკის შორეულ და მთიან რაიონებში;

— ღრმად ჩაწვდეს სარაიონო (საქალაქო) მეთოდკაბინეტების მიერ ჩატარებულ მუშაობას, მიაღწიოს მათ სრულ დაკომპლექტებას ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობისა და საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების მეთოდისტებით იმ პირთა რიცხვიდან, რომლებსაც აქვთ საკმარისი პედაგოგიური სტაჟი, გამოცდილება და ღრმა ცოდნა დასახელებული დისციპლინების სფეროში.

— გულდასმით შეისწავლოს საზოგადოებრივ დისციპლინებში სარაიონო (საქალაქო) მეთოდგაერთიანებების მუშაობის მდგომარეობა და გაუწიოს მათ სათანადო დახმარება.

— აამაღლოს სკოლის დირექტორთა და სარაიონო (საქალაქო) მეთოდური კაბინეტების გამგეების პასუხისმგებლობა მასწავლებელთა მიერ წინასაკურსო და კურსებისშემდგომ დავალებათა დროული და ხარისხიანი შესრულებისათვის კონტროლის განხორციელებაზე;

— უზრუნველყოს ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის მასწავლებელთა თვითგანათლების ახალი პროგრამების შედგენა და გამოცემა:

— მიიღოს საჭირო ზომები რესპუბლიკის ყველა სკოლაში ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობისა და საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სასწავლო კაბინეტების ორგანიზაციის უზრუნველყოფისათვის:

— დირექტორების, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილეების კურსებზე რამდენიმე საათი დაუთმოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნების სწავლებისადმი სკოლის დირექტორებისა და მათი მოადგილეების ხელმძღვანელობისა და კონტროლის ფორმებისა და შინაარსის ძირითად საკითხებს:

— ახალი 1982—1983 სასწავლო წლის დასაწყისიდან მოცემული პედაგოგიური კონტინგენტისათვის ჩაატაროს:

ა) დაუსწრებელი თემატური სემინარები პროგრამულ სიახლეებზე მრავალშვილიან და იმ მასწავლებელთათვის, რომელთაც ყავთ მცირეწლოვანი ბავშვები;

ბ) ერთთვიანი კურსები მასწავლებელთა დახელოვნების ზონალური ინსტიტუტების საზოგადოებრივი მეცნიერების ლექტორთათვის;

გ) ორკვირიანი კურსები სასწავლო-ტექნიკური საშუალებებისა და აპარატურის დაუფლებისათვის.

2. დაევალოს ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების რედაქტორს (ამხ. ა. გოგელია) ყოველკვარტალური დამატების „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში" სამუშაო გეგმებში განსაკუთრებული ადგილი დაუთმოს საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლების მეთოდიკის უფრო ფართო და სისტემატური გაშუქების საკითხებს.

3. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეს ამხ. ო. დოლიძეს.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრის პირველი მოადგილე** **მ. კობახიძე**

# РЕШЕНИЕ
# КОЛЕГИИ МИНИСТЕРСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

**О ходе выполнения приказа Министерства просвещения Грузинской ССР № 733 от 23 октября 1980 года «О мерах по совершенствованию преподавания русского языка в грузинских общеобразовательных школах республики, расширению сети школ и классов с углубленным изучением русского языка».**

**8 июля 1982 года**

За последние два года приняты эффективные меры по совершенствованию преподавания русского языка в грузинских общеобразовательных школах республики.

Стало традиционным проведение республиканских олимпиад по русскому языку для учащихся национальных школ. Ежегодно проводятся республиканские семинары-совещания по актуальным вопросам организации методической работы по русскому языку и литературе, совещания заведующих учебно-методическими кабинетами и методистов институтов усовершенствования учителей.

В помощь учителям грузинских школ ведутся ежемесячные телевизионные передачи, в которых рассказывается о передовом педагогическом опыте, обсуждаются актуальные вопросы методики, дается информация о новинках методической литературы. В передачах принимают участие работники кафедры и кабинетов ЦИУУ, сотрудники НИИ ПН им. Я. Гогебашвили, ученые АПН СССР, преподаватели вузов, передовые учителя, работники органов народного образования.

Совершенствуются формы обучения русскому языку в грузинских общеобразовательных школах: в 4-8 классах проводится эксперимент по концентрированному обучению, а в старших классах вводится углубленное изучение русского языка. Подготовлено и издано пособие для факультативных занятий в 8 классе для учащихся и методическое руководство для учителей, утверждена коллегией и издана новая программа по русскому языку для грузинских средних школ и классов с углубленным изучением предмета. 25 июня 1982 года Учебно-методическим советом Управления школ обсуждена и рекомендована к утверждению коллегией «Программа трудовых практикумов по русскому языку для грузинских средних школ и классов с углубленным изучением предмета (IX-X классы)», в которой реализованы принципы практической направленности обучения, учета межпредме-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

тных связей, единства воспитания и обучения, сознательности и активности, опоры на родной язык учащихся. Всё это позволяет существенно расширить сеть школ с углублённым изучением русского языка, повысить уровень его преподавания в старших классах.

Министерство просвещения Аджарской АССР, многие городские и районные отделы народного образования, во исполнение приказа № 733 от 23 октября 1980 года, а также Рекомендаций семинара-совещания по актуальным вопросам организации методической работы по русскому языку и литературе, принятых 19 марта 1982 года, своевременно подготовили необходимую учебно-материальную базу в ряде школ и обратились в Министерство просвещения Грузинской ССР с просьбой ввести с сентября 1982 года в 9-ых классах этих школ углублённое изучение русского языка.

Вместе с тем приняты не все меры для безусловного выполнения приказа № 733 от 23 октября 1980 года.

Отделы народного образования гг. Гори, Зугдиди, Поти, Рустави, Ахалцихского, Ванского, Гурджаанского, Каспского, Махарадзевского, Самтредского, Телавского и некоторых других районов не приняли необходимых мер по введению углублённого изучения русского языка.

**Коллегия решила:**

1. Утвердить «Программу трудовых практикумов по русскому языку для грузинских школ и классов с углублённым изучением предмета (IX-X классы)».

2 Разрешить ввести углублённое изучение русского языка с сентября 1982 года в 9-ых классах средних школ №№ 8, 89, 146, 147, 160 г. Тбилиси, №№ 4, 6, 9, 21, г. Батуми, № 1 г. Сухуми, № 2 г. Кутаиси, № 2 г. Боржоми, № 2 г. Цхакая, № 4 г. Зестафони, № 1 и № 2 г. Цители Цкаро, Тквиавской Горийского района, Мухранской Мцхетского района, Пасанаурской Душетского района, Чаквинджской Зугдидского района, № 3 г. Лагодехи, Махинджаурской и Урехской Хелвачаурского района.

3. Разрешить ввести углублённое изучение русского языка в IX-X классах Республиканской специализированной средней школы-интерната им. К. Н. Леселидзе (в IX с 1982 г., в X с 1983 г.) предусмотрев введение в XI классе (с 1984 г.) спецкурса по русской литературе с целью подготовки к экзаменам в высшие военные учебные заведения.

4. Министерствам просвещения Абхазской и Аджарской

АССР, отделам народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, Управлению народного образования Тбилгорисполкома:

— принять меры по расширению сети школ и классов с углублённым изучением русского языка, до 1 апреля 1983 года представив **предложения в Управление** школ.

5. Центральному институту усовершенствования учителей (тов. Дарчия М. Д.):

— с 23 по 28 августа провести недельные курсы переподготовки учителей русского языка, начинающих работу по новым программам для школ и классов с углублённым изучением русского языка (по спискам, составленным Управлением школ);

— поручить Кафедре методики преподавания русского языка и литературы включить в план и разработать в 1983 году спецкурс по русской литературе для XI класса Республиканской специализированной средней школы-интерната им. К. Н. Леселидзе;

— к началу 1982 — 1983 учебного года опубликовать программу практикумов по русскому языку и необходимые учебные материалы для школ и классов с углублённым изучением русского языка.

6. Главному управлению снабжения и подсобных предприятий (тов. Дзлиеришвили К. А.):

— на указанные цели в III квартале 1982 года выделить Центральному институту усовершенствования учителей 0,5 т бумаги.

7. НИИ ПН им. Я. Гогебашвили (тов. Сакварелидзе Г. А.):

— принять все необходимые меры с целью скорейшего завершения работы по созданию новой программы по русскому языку для IV-X классов грузинских общеобразовательных школ.

8. Контроль за исполнением настоящего решения возложить на Управление школ (тов. Суджашвили К. А.).

**Председатель колегии,**
**Министр О. КИНКЛАДЗЕ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 1982 წლის 8 ივლისის დადგენილება

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. 1982 წლის 15 აგვისტოდან 1982 წლის 15 ოქტომბრამდე ჩატარდეს რესპუბლიკის საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების საზოგადოებრივი დათვალიერება. დათვალიერების შედეგები შეჯამდეს 1982 წლის 25 ოქტომბრამდე. დამტკიცდეს დათვალიერების დებულება (თან ერთვის).

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების საზოგადოებრივი დათვალიერების რესპუბლიკური კომისია შემდეგი შემადგენლობით: მ. კობახიძე (თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე), ჰ. თუთბერიძე (სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი), კ. ძლიერიშვილი (მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი), ბ. აფხაზავა (კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი), ე. ნაკაშიძე (განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სოცდაზღვევის განყოფილების გამგე), ვ. მელაძე (სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის დირექტორი).

3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფ-

კავშირის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს ქმედითი ღონისძიებები გაატარონ საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების საზოგადოებრივი დათვალიერების წარმატებით ჩატარებისათვის, საბავშვო სახლების სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების საქმეში ფართო საზოგადოებრიობის, პროფკავშირული ორგანიზაციების აქტიური ჩაბმისათვის.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე
**მ. კობახიძე**

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
**დ. იოსელიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილ საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების საზოგადოებრივი დათვალიერებისა

### 1. დათვალიერების მიზანი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების საზოგადოებრივი დათვალიერება ტარდება დევიზით „საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელებს — საყოველთაო მზრუნველობა და ყურადღება" და მიზნად ისახავს:

— საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომ განმტკიცებას, აღსაზრდელთა სწავლებისა და აღზრდისათვის სათანადო პირობების შექმნას, შრომისა და ცხოვრებისათვის მათ მომზადებას;

— საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებასა და სრულყოფას;

— საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების კვების პროდუქტებით შეუფერხებელ მომარაგებას, აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის რადიკალურ მოწესრიგებას;

— საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლებას, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვას, აღსაზრდელთა აკადემიური წარმატების ამაღლებას, პედაგოგიური და სამედიცინო კადრების შერჩევისა და განაწილების შემდგომ გაუმჯობესებას;

— ფართო საზოგადოებრიობის, მზრუნველთა საბჭოების, შეფი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ჩაბმას საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებისათვის ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენის საქმეში;

— საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას

მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოვლინებასა და გამოსწორებას.

— დათვალიერების პროცესში საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მუშაობაში მოპოვებული მიღწევებისა და დადებითი გამოცდილების განზოგადება-გავრცელებას.

## II. დათვალიერების ორგანიზაცია

1. საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების საზოგადოებრივი დათვალიერება ტარდება 1982 წლის 15 აგვისტოდან 1982 წლის 15 ოქტომბრამდე.

2. დათვალიერებაში მონაწილეობას ღებულობს რესპუბლიკის ყველა საბავშვო სახლი და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი.

3. დათვალიერების ორგანიზაციისა და ჩატარების ხელმძღვანელობისათვის იქმნება საოლქო, რაიონული, საქალაქო, კომისიები ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სავაჭრო ორგანიზაციების მონაწილეობით.

4. კომისიების შემადგენლობაში შედიან პრაქტიკოსი მუშაკები— პედაგოგები და ექიმები, რომლებსაც აქვთ აღნიშნულ ინტერნატულ დაწესებულებებში მუშაობის სათანადო გამოცდილება, აგრეთვე მზრუნველთა საბჭოს წევრები, საშეფო ორგანიზაციების, საწარმო-დაწესებულებათა წარმომადგენლები.

5. საოლქო, საქალქაო, რაიონული დამთვალიერებელი კომისიები:

— ადგენენ ოლქში, ქალქაში, რაიონში დათვალიერების ჩატარების გეგმას და ახორციელებენ კონტროლს მის შესრულებაზე;

— დათვალიერების პერიოდში ორგანიზაციულ-მეთოდურ დახმარებას უწევენ დაქვემდებარებულ დამთვალიერებელ კომისიებს, საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების ადმინისტრაციებს, პედაგოგიურ კოლექტივებსა და სამედიცინო პერსონალს;

— სწავლობენ მოწინავე საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების, მზრუნველთა საბჭოების ,შეფი ორგანოების მიერ გაწეულ ეფექტურ დახმარებას და ახდენენ სანიმუშო გამოცდილების განზოგადებას;

— საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ამუშავებენ წინადადებებს და შეაქვთ შესაბამის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში განსახილველად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აჯამებენ დათვალიერების შედეგებს და რესპუბლიკურ დამთვალიერებელ კომისიას წარუდგენენ 1982 წლის 1 ნოემბრამდე.

### III. საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის, სწავლა-აღზრდისათვის სათანადო პირობების შექმნის, სამედიცინო-კულტურული მომსახურებისა და აღსაზრდელთა შრომისა და ცხოვრებისათვის მომზადების უზრუნველყოფის მოთხოვნები

საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის, სწავლა-აღზრდისათვის სათანადო პირობების შექმნის, სამედიცინო-კულტურული მომსახურებისა და აღსაზრდელთა შრომისა და ცხოვრებისათვის მომზადების, კვების პროდუქტებით, შეუფერხებელი მომარაგების უზრუნველყოფის საქმეში გაწეული მუშაობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

— საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების, აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, დადგენილი ნორმით კუთვნილი მაგარი და რბილი ინვენტარით უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელება;

— აღსაზრდელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება; საბავშვო სახლებსა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში დაწესებული სანიტარული ნორმების მიხედვით საძინებელი ფართობის გადიდება, არსებული შენობების გაფართოება, მიშენება-დაშენებისა და ახალი შენობა-ნაგებობათა აშენების გზით;

— სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება; მოწინავე აღმზრდელთა მუშაობის შესწავლა და განზოგადება; სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების როლისა და ავტორიტეტის ამაღლება; სასწავლო ნივთებისა და სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობა;

— საბავშვო სახლებსა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში დადგენილი ნორმის შესაბამისად კვების პროდუქტებით შეუფერხებელი მომარაგების უზრუნველყოფა, კერძების ხარისხის გაუმჯობესება, კვების რაციონის გამრავალფეროვნება;

— საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალებითა და ტექნიკური საშუალებებით, სახელოსნოების შესაბამისი

ინვენტარითა და ნედლეულით უზრუნველყოფა; ყველა პირობის შექმნა ბავშვთა შრომითი აღზრდისა და სწავლების განსახორციელებლად, სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების მოწყობა, ტექნიკური წრეების რაოდენობის გაზრდა;

— საბავშვო სახლებსა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების თვითმომსახურების გონივრულად დანერგვისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა; აღსაზრდელების ჩაბმა საყოფაცხოვრებო შრომაში, შენობის, კვების, ტანსაცმლის შეკეთების, შენობათა ტერიტორიის კეთილმოწყობის მიმართებით; აღსაზრდელთა სოციალისტური შეჯიბრების გაშლა შენობათა მოვლა-პატრონობის მიზნით, მათი წლების განმავლობაში ურემონტო ექსპლოატაციისათვის;

— დახმარების გაწევა საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების სანიმუშო დამხმარე მეურნეობების შექმნაში მატერიალურ-ეტქნიკური ბაზის, ბავშვთა კვების გაუმჯობესებისა და შრომითი სწავლების ორგანიზაციის მიზნით;

— საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების გადაჭრით გაუმჯობესება, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა;

— საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებისათვის დახმარება კაპიტალური და მიმდინარე რემონტების დროულად და ხარისხიანად ჩატარებისათვის, ახალი სასწავლო წლის და ზამთრის სეზონისათვის მზადებაში, ამ მიზნით ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების მთლიანად გამოყენებითა და დამატებითი სახსრების მიზიდვით;

— საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერება; მზრუნველთა საბჭოებისა და საშეფო ორგანიზაციათა მუშაობის გააქტიურება;

— საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მიერ გამოშვებულ აღსაზრდელთა სამუშაოზე მოწყობისათვის განსაკუთრებულ ღონისძიებათა გატარება.

ყველა მასალა დათვალიერების მიმდინარეობისა და საბოლოო შედეგების შესახებ უნდა გადაიგზავნოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

ბრძანება № 510 — სამხედრო-პარტიული მუშაობის რესპუბლიკურ დათვალიერებაში გამარჯვებული სკოლების დაჯილდოების შესახებ . . . 3

გადაწყვეტილება — 1981 წელს ჩატარებული რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვებით საუკეთესო მომსახურების დათვალიერება-კონკურსის შედეგების თაობაზე ჟიურის 1982 წლის 26 მაისის გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ . . 6

გადაწყვეტილება — მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების სანიმუშოდ დაყენებისათვის 1981—1982 სასწავლო წელს ჩატარებულ დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებული სკოლების მუშაკთა საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ 11

გადაწყვეტილება — მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოების მე-6 რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და მე-7 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების შესახებ . . . . . . . . . . . . . . 14

გადაწყვეტილება — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე რესპუბლიკური თათბირ-სემინარის რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ . . . . 26

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გეომეტრიის ახალი სახელმძღვანელოთი სწავლების შემოღების შესახებ . . . 36

გადაწყვეტილება — გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების 1-ლი რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ 38

გადაწყვეტილება — ზუგდიდის რაიონის სოფლების კახათის, ინგირისა და რუხის გახანგძლივებული დღის სკოლების მუშაობის გამოცდილების განზოგადების შესახებ . . . . . . . . . . . . . 47

გადაწყვეტილება — ქ. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხოური ენების მასწავლებელთა აღრიცხვისა და დანიშვნის მდგომარეობის შესახებ 54

გადაწყვეტილება — ხაზვაში მე-4 რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის შედეგებისა და მე-5 რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის ჩატარების შესახებ . 58

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საზოგადოებრივი დისციპლინების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომი სრულყოფის შესახებ . . . . . . . . . . 64

Решение — о ходе выполнения приказа Министерства просвещения Грузинской ССР № 733 от 23 октября 1980 года «О мерах по совершенствованию преподавания русского языка в грузинских общеобразовательных школах республики, расширению сети школ и классов с углубленным изучением русского языка». . . . . . . . . . . . 69

გადაწყვეტილება — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შესახებ . . . . . . . . 72

ეროვნული ბიბლიოთეკა
87 83
31.I

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 4/X-82 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/XII-82 წ.
ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 9^1/_4$; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 5,5
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,8

შეკვ. № 661 უე 05888 ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения ГССР, ул. Нуцубидзе № 7

92-82

83-87